ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

სამშაბათი, 22 მაისი, 1990 წ.
№ 55 (11541)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

## ქრონიკა, ინფორმაცია

18 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე შეხვდა და ესაუბრა ჩარხმშენებლობის საპროექტო ტექნოლოგიური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივს.

●

თბილისში დამთავრდა ზაარის მხარის კულტურის დღეები. 19 მაისს სტუმართა დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ. იმავე დღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ლორთქიფანიძემ პრესკონფერენცია გაუმართა დასავლეთგერმანელ ჟურნალისტებს.

●

**19 მაისს სადგურ განთიადთან სატვირთო შემადგენლობა დაეჯახა თბილისი-მოსკოვის სამგზავრო მატარებელს. არის ადამიანთა მსხვერპლი — 9 კაცი. ბევრი დაშავდა, შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელიც კატასტროფის ადგილზე იმყოფება.**

●

სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულებით ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ვახტანგ ჭაბუკიანს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო".

●

**გამომცემლობა „ნაკადულმა" ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატისათვის ხელის შესაწყობად და წამახალისებლად სოხუმის „ცხუმის" საფეხბურთო გუნდს გადაურიცხა 1000 მანეთი.**

## „არ გვინდა ომობანას თამაში!"



პოლიტიკოსებისათვის რთული განიარაღების პრობლემები გადაჭრეს თბილისის ოქტომბრის რაიონის მოსწავლეებმა. ისინი შეიკრიბნენ № 30 საშუალო სკოლის ეზოში, რათა მოესპოთ შინიდან მოტანილი გასამხედროებული სათამაშოები.

—რატომ მაინცდამაინც თქვენ იკისრეთ ბავშვების „განიარაღება?"

— ვკითხეთ აქციის ორგანიზატორს, ოქტომბრის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ესპერანტისტთა წრის ხელმძღვანელს მანანა ცუცქირიძეს.

— ესპერანტო ეს არის სხვადასხვა ქვეყნის ადამიანების სწრაფვა გამონახონ საერთო ენა, იცხოვრონ მშვიდობიანად, — თქვა მან. — ერთი ჩვენი ფინელი კოლეგა, როცა საქართველოში ჩამოვიდა, გაკვირვებული დარჩა ჩვენს სახლებში გასამხედროებული სათამაშოების სიუხვით. ამაზე ილაპარაკა ესპერანტისტთა ჟურნალ „მირში" ქართველმა ესპერანტისტმა ი. კატუკიამ. წერილმა აალელვა ჟურნალის მრავალი მკითხველი. ამ პრობლემას არაერთგზის შეხებიან პრესის ფურცლებზეც.



ამერიკელებმა უკვე დიდი ხანია ატეხეს განგაში ამის თაობაზე. როგორც ფსიქოლოგები ფიქრობენ, ასეთი სათამაშოები სულაც არ უვითარებენ პატარებს საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. იარაღის ზუსტ ასლს ბავშვის ხელში უკვე გამოუწვევია ტრაგიკული გაუგებრობანი პოლიციასთან. რა თქმა უნდა მას ჩვენი იარაღი ვერ შეედრება. ამისათვის მაინც უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა მრეწველობას.

შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი სათამაშოები ნაყიდია ნებაყოფლობით. დიახ, ნებაყოფლობით, რადგან არ არის საკმარისი რაოდენობის ბურთები და ჩოგნები, თავსატეხები და კუბები, თოჯინები... ამ ნუსხის გაგრძელება თავისუფლად შეუძლია ყველას, ვის სახლშიც იზრდება ბავშვი.

№ 26 საშუალო სკოლის მესამეკლასელმა გიორგი გეგეშიძემ „დემონტაჟს", შესწირა ახალთახალი ავტომატი, პისტოლეტი, ბირთვული რაკეტა. — არ გენანება?

— არა, — მშვიდად გვიპასუხა ბიჭმა. — აღარ მსურს ომობანას თამაში.

სწორედ ეს სიტყვები წავიკითხეთ თვითნაკეთ პლაკატებზე, რომლებიც გამოიტანეს ბავშვებმა მიტინგზე: „ჩვენ მშვიდობისათვის ვიბრძვით!" „უიარაღოდ უფრო ძლიერნი ვართ!"



გულის ამაჩუყებელია მოვისმინოთ ბავშვებისაგან: „ძმებო და დებო! გადავყაროთ იარაღი, რათა, როცა გავიზრდებით, არ ვხოცოთ ერთმანეთი!"

„ბავშვური მაქსიმალიზმი, გულუბრყვილობა" — შეიძლება ვინემ გაიფიქროს. „მათ მოქმედებას უფროსები წარმართავენ". — იტყვიან სხვები. იქნებ, ეს ასეც არის. მაგრამ როცა ვნახეთ ყოფილი ყველგანმავლების, ტანკების, შაშხანების ნამსხვრევების ჭრელი გროვა, რომლებსაც ბავშვები გულდაუწყვეტლივ განშორდნენ, ვფიქრობთ, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა კარგი იქნებოდა უფროსებს ესწავლათ ბავშვებისაგან. ახალი თაობა ირჩევს მშვიდობას!

**რიმა შელია,**
**საქინფორმის კორ.**

**სურათებზე: „აღარ გვინდა ომობანას თამაში!".**

**ვლადიმერ ვალიშვილისა და სპარტაკ ყურაშიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა. სპეციალურად „ახალგაზრდა ივერიელისათვის").**

**საქართველოს კომკავშირის თვითგამორკვევის პროცესამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებილა რჩება.**

**თვითგამორკვევის პროცესი მთელს ჩვენს რესპუბლიკაში რთულია, ბევრგან წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს, ზოგან განურჩეველ პასიურობას და ინდიფერენტიზმს აქვს ადგილი, ბევრგან საინტერესო წინადადებებს და კონსტრუქციულ აზრს.**

**ყოველივე აღნიშნულის ურთიერთშეჯერებით, გათვალისწინებით გარკვეული პერიოდის განმავლობაში იხვეწებოდა განახლებული ორგანიზაციის სტრუქტურა, თეორიული საფუძვლები, პროგრამა.**

**საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ახალგაზრდული ორგანიზაცია (საქართველოს ახალგაზრდული კავშირი) უნდა იყოს უპირველესი ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც გაითვალისწინებს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდების ინტერესებსაც. გამორიცხავს ეროვნულობის ან პარტიულ-უპარტიობის ნიშნით დაპირისპირებას, თავისი მთლიანობით არ დაუშვებს ინტერფრონტის კერების აღმოცენებას, იქნება საზოგადოებრივი ორგანიზაცია, დაიცავს ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს, არსებულ მატერიალურ სახსრებს მოახმარს რესპუბლიკის ახალგაზრდობას...**

**დღეს გთავაზობთ საქართველოს ახალგაზრდული კავშირის წესდებასა და პროგრამას, რომელიც გამოქვეყნებამდე გარკვეული ხნით ადრე დაურიგდათ საოლქო, საქალაქო და სარაიონო რგოლებს გაცნობისა და ხელმძღვანელობისათვის:**

**გთხოვთ, თქვენი მოსაზრებანი გამოგვიგზავნოთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში.**

**მისამართი: — მაჩაბლის ქ. № 11. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.**

## საქართველოს ახალგაზრდული კავშირის პროგრამა

საქართველოს ახალგაზრდული კავშირი დამოუკიდებელი ახალგაზრდული, საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში ნებაყოფლობით აერთიანებს საქართველოს ახალგაზრდებს მათი სოციალური მდგომარეობის, ეროვნების, სარწმუნოებისა და პარტიულობის მიუხედავად.

მიზნად ისახავს საქართველოს ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვას. საქართველოს ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური სუვერენიტეტის აღდგენას, რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების ახალგაზრდობის კონსოლიდაციას, საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას.

მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის საკუთარი პროგრამისა და წესდების საფუძველზე.

ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს ახალგაზრდული კავშირი:

— მონაწილეობს სუვერენული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული კონცეფციის შემუშავებაში და თავისი საქმიანობით ხელს უწყობს მის ცხოვრებაში განხორციელებას.

— იღვწის სოციალური სამართლიანობისათვის. ახალგაზრდობის ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ამუშავებს სამოქმედო პროგრამებს და შედის წინადადებებით საკანონმდებლო ორგანოების, რესპუბლიკის მთავრობის წინაშე.

— იცავს ახალგაზრდობის ინტერესებს სამართლებრივი აქტების მიღებისას.

— მონაწილეობს ლებულობს საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრაში. ზრუნავს შეღავათების დაწესებისათვის ახალგაზრდა ოჯახების, დემოგრაფიულად რთულ რაიონებში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტების სასარგებლოდ.

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ახალგაზრდული კავშირის პროგრამა

(დასასრული)

— მიისწრაფვის ახალგაზრდობის შრომითი დასაქმების, თავისუფალი დროის ორგანიზაციის ინდუსტრიის შესაქმნელად. აყალიბებს ახალგაზრდულ ცენტრებს, საწარმოებს გაერთიანებებსა და სხვა სამეურნეო ქვედანაყოფებს.

— ზრუნავს სპორტისა და საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის განვითარებისათვის. იღვწის რესპუბლიკის ახალგაზრდების გაგზავნისათვის საზღვარგარეთის მნიშვნელოვან სასწავლო, სამეცნიერო და კულტურულ ცენტრებში.

საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისათვის საქართველოს ახალგაზრდული კავშირი:

მხარს უჭერს საჯაროობისა და დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებას, პოლიტიკური პლურალიზმის, ჰუმანური, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესებს, ურთიერთობებს ამყარებს და თანამშრომლობს რესპუბლიკაში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიასთან და მოძრაობასთან, რომელთა მიზნები და საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ორგანიზაციის საპროგრამო ამოცანებს. უარყოფს ხელისუფლების მონოპოლიზაციას

— აღიარებს საქართველოში არსებულ სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს თანასწორუფლებიან პარტნიორებად, მათთან ურთიერთობას ამყარებს დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაყრდნობით.

ახორციელებს — კავშირის წევრთა ინტერესების გამოხატვასა და დაცვას ხელისუფლების ყველა დონის ორგანოებში ორგანიზაციიდან წამოყენებული წარმომადგენლების საშუალებით. წარმართავს მათ წინა საარჩევნო კამპანიას;

— ხელს უწყობს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებებზე დაყრდნობით ბავშვთა და მოზარდთა სურვილებიდან, დაინტერესებიდან გამომდინარე არაპოლიტიზირებული გაერთიანებებისა და კლუბების შექმნას.

ერთაშორისი კავშირის განვითარებისათვის საქართველოს ახალგაზრდული კავშირი:

— მის არაქართველ წევრებს ხელს უწყობს ეროვნულ ფასეულობებზე ზრუნვის საქმეში, თუ იგი შეესაბამება ორგანიზაციის იდეალებსა და ამოცანებს. მიისწრაფვის, რომ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების ხალხი ცხოვრობდეს მეგობრულად, კავშირის თითოეული წევრი არ ურიგდებოდეს შოვინიზმს და ანტიეროვნულ ტენდენციებს.

— ურთიერთობას ამყარებს მოკავშირე რესპუბლიკების, საზღვარგარეთის ქვეყნების ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ყველა დემოკრატიულ მოძრაობასთან.

— ცდილობს დამოუკიდებელ წევრად შედიოდეს და მონაწილეობდეს საერთაშორისო ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და მოძრაობებში.

— ზრუნავს საკუთარი სავალუტო ფონდის შექმნაზე.

# საქართველოს ახალგაზრდული კავშირის წესდება

### I. ძირითადი დებულებანი

1. 1. საქართველოს ახალგაზრდული კავშირი დამოუკიდებელი ახალგაზრდული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში ნებაყოფლობით აერთიანებს საქართველოს ახალგაზრდებს მათი სოციალური მდგომარეობის, ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად.

1. 2. საქართველოს ახალგაზრდული კავშირი მოქმედებს თავისი პროგრამისა და წესდების შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

1. 3. საქართველოს ახალგაზრდული კავშირი წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს საკუთარი ანგარიში ბანკში (მათ შორის სავალუტო), ბეჭედი, სიმბოლიკა.

1. 4. კავშირის შტაბ-ბინა იმყოფება ქ. თბილისში.

### II. საქმიანობის ძირითადი პრინციპები

2. 1. ორგანიზაციის საქმიანობა ეფუძნება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პრინციპებს.

— იგი მიზნად ისახავს ახალგაზრდა ადამიანის ეროვნული, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სულიერი ინტერესების გამოხატვასა და დაცვას.

2. 2. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის სახელმძღვანელო პრინციპებია:

— ჰუმანიზმი, დემოკრატია, სინდისის თავისუფლება.

— კოლეგიალურობა და პირადი პასუხისმგებლობა.

— ყველა დონის ხელმძღვანელი ორგანოების დემოკრატიული არჩევითობა.

— უმრავლესობის უფლება გამოვიდეს ორგანიზაციის სახელით.

— უმცირესობის უფლება დაიცვას საკუთარი პოზიცია, არ მიიღოს მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებათა შესრულებაში, რომელთაც არ ეთანხმება, მაგრამ საკუთარი მოქმედებით ხელი არ შეუშალოს უმრავლესობას მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

— ორგანიზაციის რიგების დატოვების ნებაყოფლობითობა.

— ყველა დონის არჩევითი ორგანოების პერიოდული ანგარიშგება თავისი ორგანიზაციის წინაშე და ზემდგომი არჩევითი ორგანოების ინფორმირება.

### III. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

3. 1. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, როგორც წესი 16 წლიდან 35 წლამდე, მიუხედავად ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა. სარწმუნოებისა და პარტიულობისა, რომელიც აღიარებს ორგანიზაციის პროგრამასა და წესდებას, იხდის საწევრო გადასახადს და თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

შენიშვნა: ორგანიზაციის წევრს 35 წლის მიღწევის შემდეგ პირადი სურვილისამებრ შეუძლია დარჩეს ორგანიზაციის წევრად.

3. 2. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის წევრობის მსურველი განცხადებით მიმართავს პირველად ორგანიზაციას. ორგანიზაციის წევრად მისი მიღება ხდება პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით.

3. 3 საქართველოს ახალგაზრდული კავშირის წევრს უფლება აქვს:

— თავისუფლად გავიდეს კავშირიდან

— მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ახალგაზრდული კავშირის მიერ ორგანიზებულ ყველა ღონისძიებაში, გამოსთქვას აზრი და მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში. ღონისძიებებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

— მოაწყოს ღონისძიებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს ახალგაზრდული კავშირის წესდებასა და პროგრამის ძირითად პრინციპებს.

— მიიღოს მონაწილეობა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებში, აირჩიოს და არჩეულ იქნას საქართველოს ახალგაზრდულ კავშირის ნებისმიერ ორგანოში.

— დაუჭიროს მხარი ან გააკრიტიკოს კრებებზე, სხდომებზე, ყრილობებზე საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ნებისმიერი ორგანო, ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი დაკავებული თანამდებობის მიუხედავად.

— მიმართოს შეკითხვით, განცხადებით ან წინადადებით საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ნებისმიერ ორგანოს და მოითხოვოს პასუხი.

— გამოვიდეს პირველადი ორგანიზაციის ან სხვა რომელიმე რგოლის სახელით, თუ აქვს მათი თანხმობა.

— ორგანიზაციის მიერ წამოყენებულ იქნას დეპუტატობის კანდიდატად ხელისუფლების ნებისმიერი დონის ორგანოში ასარჩევად.

3. 4. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის წევრი მოვალეა:

— ზრუნავდეს კავშირის საპროგრამო მიზნების განხორციელებისათვის, თავისი მოქმედებით არ არღვევდეს ორგანიზაციის წესდებას.

— გაუფრთხილდეს ორგანიზაციის ავტორიტეტს და იზრუნოს ღირსეულ შევსებაზე.

3. 5. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის წევრებს აქვთ წევრობის დამადასტურებელი ბილეთი.

3. 6. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის წევრი იხდის ყოველთვიურ საწევრო გადასახადს. მუდმივი შემოსავლის არმქონე წევრები თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისაგან.

### IV. ორგანიზაციული წყობა

4. 1 საქართველოს ახალგაზრდული კავშირის საფუძველია პირველადი ორგანიზაცია. პირველადი ორგანიზაცია იქმნება იმ შემთხვევაში, თუ მასში ერთიანდება საქართველოს ახალგაზრდული კავშირის არანაკლებ 5 წევრისა.

4. 2. პირველადი ორგანიზაცია:

— დამოუკიდებლად განსაზღვრავს სტრუქტურას, საქმიანობის ძირითად ფორმებსა და მეთოდებს.

— იწვევს კრებებს, ადგენს მათი მოწვევის პერიოდულობას.

— გამოხატავს და იცავს თავისი ორგანიზაციის წევრთა ინტერესებს.

— იღებს ახალ წევრებს.

— აწარმოებს წევრთა აღრიცხვას, საწევრო ანარიცხების აკრეფაანგარიშსწორების უწყისისა და კავშირის წევრის ბილეთის საფუძველზე.

— ასახელებს თავის წარმომადგენლებს ზემდგომ ორგანოებში და აქვს მათი გამოწვევის უფლება.

— იხილავს ორგანიზაციის წევრთა პერსონალურ საკითხებს, უკიდურეს შემთხვევაში თუ კავშირის წევრი არღვევს პროგრამისა და წესდების მოთხოვნებს ათავისუფლებს მათ კავშირის რიგებიდან.

ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებული იქნება თუ მას ხმა მისცა კრებაზე დამსწრეთა 2/3 მაინც.

პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება. იგი უფლებამოსილია თუ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ორგანიზაციაში აღრიცხვაზე მყოფ კავშირის წევრთა ერთი მეორედი მაინც.

გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.

პირველადი ორგანიზაციები დაარსებისთანავე რეგისტრაციაში ტარდებიან რაიონულ (საქალაქო) რგოლების მიერ.

პირველადი ორგანიზაციები ერთიანდებიან შესაბამის რაიონულ (საქალაქო) ორგანიზაციებში საწარმოო-ტერიტორიალური პრინციპების გათვალისწინებით.

4. 3. სარაიონო (საქალაქო) ორგანიზაციები:

— სარაიონო (საქალაქო) ორგანიზაციების უმაღლესი საკოორდინაციო ორგანოა სარაიონო (საქალაქო წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც იქმნება ყველა პირველადი ორგანიზაციიდან წარმომადგენლების პირდაპირი და თანაბარი დელეგირების პრინციპის დაცვით.

წარმომადგენელთა კონფერენციის სხდომები იწვევა წელიწადში ორჯერ. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კონფერენციის წევრთა ნახევარზე მეტი.

კონფერენციის რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეული იქნას კავშირის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ან კონფერენციის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

კონფერენციის სხდომა განსაზღვრავს აპარატის სტრუქტურას და თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს აპარატის პერსონალურ შემადგენლობას.

სარაიონო (საქალაქო) ორგანიზაციები რესპუბლიკურ (საოლქო) კონფერენციაში წარმომადგენლებს ირჩევენ პირდაპირი დელეგირების გზით და აქვთ მათი გამოწვევის უფლება..

რესპუბლიკის ტერიტორიაზე დღეისათვის არსებული ავტონომიური ფორმირებების რეგიონალურ ორგანიზაციებს გააჩნიათ საოლქოს სტატუსი, რაც მათ საშუალებას აძლევს საკუთარი სურვილისამებრ იქონიონ მოცემული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით — შემუშავებული საპროგრამო დოკუმენტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ორგანიზაციის პროგრამას და წესდებას.

4. 4. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის უმაღლესი ორგანოა ყრილობა.

ყრილობის მოწვევა ხდება სამ წელიწადში ერთხელ. ყრილობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი მაინც. გადაწყვეტილებას ღებულობს ხმათა უმრავლესობით.

ყრილობის მოწვევა ხდება რესპუბლიკური კონფერენციის გადაწყვეტილებით ან სარაიონო (საქალაქო) ორგანიზაციების ერთი მესამედის მოთხოვნით.

შეიძლება მოწვეულ იქნას რიგგარეშე ყრილობები.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ყრილობა:

— იღებს გადაწყვეტილებებს კავშირის შექმნისა და გაუქმების შესახებ.

— იღებს პროგრამას და წესდებას. შეაქვს მასში ცვლილებები.

— განიხილავს და განსაზღვრავს ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად საკითხებსა და მიმართულებებს.

— სცნობს კონფერენციის წევრთა უფლება-მოვალეობას, ირჩევს საკონტროლო კომისიას, საქართველოს ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს.

— უფლებამოსილია წარმომადგენელთა კონფერენციას მიანიჭოს უფლება მოახდინოს კონფერენციის წევრთა როტაცია სარაიონო (საქალაქო) ორგანიზაციების წინადადებების საფუძველზე.

— ყრილობებს შუა პერიოდში წარმომადგენელთა კონფერენციას ანიჭებს უფლებას აუცილებლობის შემთხვევაში გამონაკლისის სახით აირჩიოს საქართველოს ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, დაამტკიცოს ბეჭდვით ორგანოთა რედაქტორები.

— ისმენს და აძლევს შეფასებას საკონტროლო კომისიის ანგარიშს.

— ამტკიცებს ბეჭდვითი ორგანოების სარედაქციო წესდებებს, ამ ორგანოების რედაქტორებს.

— აუცილებლობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციაში რეფერენდუმის ჩატარების შესახებ.

4. 5. ყრილობებს შორის პერიოდში საქართველოს ახალგაზრდული კავშირის საქმიანობას ხელმძღვანელობს საქართველოს ახალგაზრდული კავშირის კონფერენცია.

კავშირის კონფერენციის სხდომების მოწვევა ხდება ექვს თვეში ერთხელ.

სხდომები უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მის წევრთა ორი მესამედი. გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.

კონფერენციის რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეული იქნას სათათბიროს გადაწყვეტილებით, ან მის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სათათბიროს და შეაქვს ცვლილებები მის შემადგენლობაში.

ამტკიცებს საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რესპუბლიკური აპარატის მუდმივმოქმედი კომისიების ხელმძღვანელებს.

შენიშვნა: რესპუბლიკური აპარატის თანამშრომლები, საქართველოს ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების გარდა, არ შეიძლება იყვნენ კავშირის სათათბიროს წევრები.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის კონფერენცია ამტკიცებს კავშირის ბიუჯეტს, საშტატო განრიგს და ნორმატიულ აქტებს.

4. 6. სათათბიროს ფორმირება ხდება თავმჯდომარის წარდგინებით კავშირის კონფერენციის მიერ ერთი წლის ვადით.

სათათბიროში მუდმივ წევრებად შედიან კავშირის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები.

სათათბირო კოორდინაციას უწევს ყრილობისა და კონფერენციის გადაწყვეტილებებისა და მიმდინარე საკითხების შესრულებას.

4. 7. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე წარმოადგენს ორგანიზაციას სახელმწიფო და პოლიტიკურ სტრუქტურებში.

მისი საქმიანობა ეყრდნობა ყრილობის კონფერენციისა და სათათბიროს სხდომების გადაწყვეტილებებს.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე ხელს აწერს კავშირის სახელით მიღებულ ყველა დოკუმენტს და სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა 3 წელია.

ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარედ ზედიზედ არა უმეტეს 1 ვადისა.

4. 8. არჩევნები საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ყველა დონეზე ხდება ღია, (ფარული) კენჭისყრით.

4. 9. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის შიგნით სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პირველადი ორგანიზაციების შექმნა დაუშვებელია.

### V. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ქონება და ფინანსები

5. 1. საქართველოს ახალგაზრდულ კავშირს გააჩნია თავისი ქონება და საფინანსო სახსრები.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის სახსრებს შეადგენს:

— კავშირის წევრთა საწევრო გადასახადი.

— ორგანიზაციებისა და კერძო პირთა ნებაყოფლობითი ფულადი შემოწირულობანი.

— საგამომცემლო და საწარმოო საქმიანობით, ატრიბუტიკის გაყიდვითა და სხვა ღონისძიებებით მიღებული შემოსავალი.

— შენობები, სატრანსპორტო საშუალებები და მის განმგებლობაში მყოფი სხვა მატერიალური ფასეულობანი.

5. 2. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის სახსრები ბიუჯეტის თანახმად იხარჯება სამეურნეო, ორგანიზაციული, საქველმოქმედო და სხვა მოღვაწეობის უზრუნველყოფისათვის, მისი პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

5. 3. პირველად ორგანიზაციას ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება მიენიჭოს იურიდიული პირის სტატუსი.

პირველადი ორგანიზაციის განმგებლობაში რჩება საწევრო ანარიცხებისა და მის მიერ მოზიდული სახსრების 50 პროცენტი.

5. 4. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ყველა დონის ორგანოების საფინანსო საქმიანობას წესდებითა და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად ამოწმებს საკონტროლო კომისია.

პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის საფინანსო საქმიანობას ამოწმებს საერთო კრება ან საკონტროლო კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრისა და საქართველოს ეროვნული ფორუმის**

# განცხადება

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრი და საქართველოს ეროვნული ფორუმი ულოცავს სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 72-ე წლისთავს და უსურვებს გამარჯვებას იმ დიდ საქმეში, რასაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ჰქვია. ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ დღევანდელი ჩვენი ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა მიიყვანს ქართველ ერს თავისუფლებამდე და საქართველოს სრულ და საბოლოო დამოუკიდებლობამდე. წინ ურთულესი სიძნელეები გველის, რომელთა დაძლევითაც მიიღწევა ეროვნული პოლიტიკური სუვერენიტეტის აღდგენა და საერთაშორისო ცხოვრებაში საქართველოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრისა და საქართველოს ეროვნული ფორუმის გადაწყვეტილებით 1990 წლის 26 მაისს დღის 12 საათზე მთავრობის სახლის წინ დაიწყება საზეიმო მანიფესტაცია; ხოლო 18 საათზე თბილისის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება მიტინგი, სადაც წაკითხულ იქნება ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებები.

**ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, თეიმურაზ ხუმბათაშვილი,**
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია;

**გიორგი ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, ვანო ხუხუნეიშვილი,**
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;

**გია ჟორჟოლიანი, ირაკლი მაჭავარიანი,**
თბილისის პოლიტიკური კლუბი;

**თენგიზ შარმანაშვილი, ვასილ ჭუღიძე,**
საქართველოს დემოკრატიული პარტია;

**ირაკლი კაკაბაძე, დავით გამყრელიძე,**
საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი;

**ლუიზა შაკიაშვილი, იზოლდა ჭიჭაძე,**
ქეთევან წამებულის საზოგადოება.

## ალტერნატიული ფურცელი

# მხოლოდ ზნეობრივი გზით

**1. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გარკვეულწილად კრიზისმა მოიცვა, რაც გამოიხატა პარტიათა შორის უთანხმოებებით. რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს პრიორიტეტული პოზიციებისათვის ბრძოლას ცალკეულ ლიდერთა მხრივ.**

**ხალხი ერთსულოვნად მოითხოვს ეროვნული ძალების გაერთიანებას. დაქსაქსულობა და ურთიერთ ქიშპი, ეს ჩვენი ისტორიული მტერი, მოწინააღმდეგე ძალებს საშუალებას აძლევს დეზორგანიზაცია მოახდინონ პატრიოტთა რიგებში.**

**არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს მრგვალი მაგიდის საშუალებით?**

**2. საქართველოში კომკავშირული ორგანიზაციის ლიკვიდაციის საკითხმა გამწვავებული სახე მიიღო. მოლაპარაკების რამდენიმე რაუნდის შემდეგაც სიტუაცია დაძაბულია. ორმხრივი კომპრომისით შეთანხმების მიღწევა რამდენად რეალურია?**

**3. პოლიტიკურ ბრძოლაში ხშირად ხელმძღვანელობენ მაკიაველური პრინციპით — „მიზანი ამართლებს საშუალებებს" და იქვე დასძენენ რომ — „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ".**

**არსებობს პოლიტიკური ბრძოლის თანამედროვე, ცივილიზებული ფორმებიც.**

**რომელს ანიჭებთ უპირატესობას და გვეთანხმებით თუ არა რომ საერთო ეროვნული ინტერესები ნებისმიერი პარტიის ინტერესებზე მაღლა დგას?**

●

**რედაქციას ამ კითხვაზე 17 მაისის ნომერში უპასუხეს ჰელსინკის კავშირისა და წმიდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობის წევრმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა, საქართველოს მონარქისტული პარტიის თავმჯდომარემ თემურ ჟორჟოლიანმა და თბილისის ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ შოთა შაშიაშვილმა.**

**ამჯერად ამ კითხვებზე პასუხები ვთხოვეთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გრიგოლ ბარამიძეს და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს გიორგი ჭანტურიას.**

**გრიგოლ ბარამიძე — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.**

1) მართალია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კრიზისმა მოიცვა, მაგრამ ამაში გარკვეული ლოგიკურობის ნიშნებს ვხედავ, რადგან შეუსაბამოა ასეთ პატარა რესპუბლიკაში ამდენი პოლიტიკური პარტიები იყოს. ერთი შეხედვით თითქოს ისინი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან, მაგრამ თითქმის ყოველდღიურობად იქცა ერთმანეთთან მკაცრი დაპირისპირება. ხდება პიროვნული ქიშპი და ხშირად ხალხის თვალწინ. ასე რომ, საზოგადოება ვერ გარკვეულა, ვინ არის მართალი, რომლის გზაა სწორი, რომელია პიროვნულად უმწიკვლო.

ხშირად ვართ იმის მოწმე, როცა ზოგიერთი ლიდერის სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცილდება. გარდა ამისა, ეროვნულ მოძრაობას (ალბათ დამეთანხმებით) ზოგიერთი შემთხვევითი კაციც მიეკედლა. მაგრამ მე ეროვნულ მოძრაობაში ვიცნობ ბევრ ღირსეულ, საქმიან ადამიანს, სიამოვნებით ჩამოვთვლიდი მათ, ამას რომ დაპირისპირება არ მოჰყვებოდეს.

ეროვნული მოძრაობა რომელიმე ჯგუფის ან სოციალური ფენის პრიორიტეტი არ არის. აქ ყველანი თანაბარი ძალით უნდა მონაწილეობდნენ. მე მაფიქრებს ეროვნული მოძრაობიდან (გარკვეული ნაწილის) დიდი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ინტელიგენციის ჩამოშორება. ამას მათ პასიურობას ნუ დავაბრალებთ.

არ მიმაჩნია სწორად იმის დიფერენცია, თუ ვის აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ მოძრაობაში და ვის არა!

ერთსაც დავსძენ: ერთმანეთისათვის დაუფიქრებლად ერის მოღალატის იარლიყის მიწებებითა და ურთიერთმტრობით ისტორიულად ბევრი დაგვიკარგავს. ახლაც გახშირდა ამ უმძიმესი ბრალდების ჰაი-ჰარად მიტმასნა და ურთიერთშუღლი. ეს საქართველოს დამღუპველი გზაა!

2) საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის თვითგამორკვევის პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. მე კი სულ ახლახან დამნიშნეს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მე და ჩემს კოლეგებს „საველე" პირობებში გვიწევს მუშაობა.

ზოგი ასეთ კითხვასაც მისვამს: „მაინც რას დაგპირდნენ ისეთს, ამ სიტუაციაში რომ დათანხმდი პირველ მდივნობასო". ამგვარად საკითხის დაყენება ცოტა უხერხულად მეჩვენება.

ვფიქრობ, საზოგადოებამ ზუსტად უნდა იცოდეს და თვალითაც იხილოს რა ხდება ჩვენს გარშემო, რა გვსურს ჩვენ, რას მიველტვით, რატომ მიმდინარეობს (უკვე რამდენიმე დღეა) ჩვენს შენობაში და ეზოში სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული აქციები (მიტინგებს არ ვგულისხმობ) ოპოზიციონერთა მხრიდან. რატომ ხდება ოთახებში შემოვარდნები, კარებების ჩაკეტვები, თანამშრომლების შეურაცხყოფა (მათი შენობაში გამომწყვდევის ცდები), ჩვენი ოთახების განაწილებაზე გარიგებები, მუქარით სახლში ტელეფონის ზარები, გაუგებარი ცილისწამებები და ზოგიერთ ვაიპატრიოტთა მხრიდან ყველაფერ ამის ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირება.

მიმაჩნია, რომ ყველაფერი ეს (გარკვეული კუთხით) ჯეროვნად უნდა გაშუქდეს რესპუბლიკის მასშტაბით. შეიძლება ხალხი ზედმეტადაც გავაღიზიანოთ, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავრწმუნდეთ, ნეობოლშევიკური მეთოდებით კეთილ საქმეთა ქმნა არ ეგების. ნურც ნურავინ ეცდება.

კომკავშირის, ისევე როგორც კომპარტიის, დღევანდელ წარმომადგენლებს ბრალი არ მიგვიძღვის 70 წლის წინათ [illegible] მიერ დაშვებული შეცდომებისათვის. ასეთი ბრალდება ზნეობრივად გაუმართლებელია. დღეს ყველას უნდა მიეცეს უფლება იწამოს ის, რასაც სინდისი უკარნახებს, გაერთიანდეს იქ, სადაც სურს.

ყოველივე ეს მოითხოვს არა მარტო დემოკრატიის, როგორც ფორმის დეკლარირებას, არამედ ისეთი პირობების შექმნის ხელშეწყობას, სადაც შესაძლებელი გახდება განსხვავებული აზრის შემწყნარებლობა.

მოკლედ მინდა შევეხო ჩვენი ახალგაზრდული ორგანიზაციის პერსპექტივებს, თვითგამორკვევის პროცესი საკმაოდ რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. პრეტენზიებს არ ვაცხადებთ ჩვენი მოსაზრებების უტყუარობაში, არც კომკავშირის დამცველებად გამოვდივართ, მაგრამ ვთვლით, რომ უკომპრომისო მოთხოვნები, ურთიერთდაპირისპირება მხოლოდ ზიანს მოუტანს ჩვენს რესპუბლიკას მომავალში. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ კომკავშირის თვისობრივ-რადიკალური განახლებისას, უნდა ჩამოვაყალიბოთ დოგმატური იდეებისაგან თავისუფალი კავშირი, რომელსაც საზოგადოებრივი ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური სახე მიეცემა და რომელშიც გაერთიანების საშუალება პარტიულებთან ერთად უპარტიოებსაც ექნებათ. განახლებულმა ორგანიზაციამ უარი უნდა თქვას მართვის მკაცრად რეგლამენტირებულ, ცენტრალიზებულ მეთოდებზე, უმცირესობას საშუალება უნდა მიეცეს დაიცვას თავისი პოზიცია, დაუშვას და წაახალისოს აზრთა პლურალიზმი. თვისობრივად შეიცვლება სტრუქტურა, მართვის მექანიზმი. ახალგაზრდები საკუთარი სურვილისამებრ გადაწყვეტენ პირველადი, სხვა რეგიონალური რგოლების შექმნის, სწავლების, მუშაობისა თუ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გაერთიანებების საკითხს, თვითონ გადაწყვეტენ საკუთარი სტრუქტურისა და სამოქმედო პროგრამების შექმნის მომენტებსაც.

საქართველოს ახალგაზრდულმა კავშირმა, როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ, თავისი საქმიანობის აქცენტები უნდა მიმართოს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული სუვერენიტეტის მიღწევის სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და საზოგადოების განუწყვეტელი დემოკრატიული განვითარებისათვის.

სხვა პროგრესულ ძალებთან ერთად ჩვენ, დიახაც მიგვაჩნია თავი საქართველოს პატრიოტებად, მიგვაჩნია, რომ უმთავრესი მიზნის — საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად სხვების გვერდით ჩვენც უნდა ვიზრუნოთ ერის, ახალგაზრდობის კონსოლიდაციის მისაღწევად. სწორედ ამიტომ დიდ ყურადღებას ვუთმობთ და ვითვალისწინებთ საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ახალგაზრდების მოსაზრებებსა და შეხედულებებს, ვცდილობთ მოვახერხოთ მათი შეკავშირება, გამოვრიცხოთ სხვადასხვა სახის ე. წ. ინტერფრონტებისა და ინტერმოძრაობების შექმნის შესაძლებლობა.

გარდა ამისა, ზნეობრივად არ მიმაჩნია, კაცმა სიტუაციის მიხედვით ირჩიოს პარტიები და მანდატები, ხან ერთ ბანაკში იყოს და ხან მეორეში გადაბარგდეს...

ჩვენ ვცდილობთ რეორგანიზაციის განახლების პროცესი ბუნებრივად წარიმართოს და დღევანდელ გარდამავალ ეტაპზე ახალგაზრდული ორგანიზაცია უმტკივნეულოდ შეერწყას ეროვნულ საქმეს.

და ბოლოს, სასურველს რეალურში ნუ ავურევთ, დღევანდელობის ყოველმხრივი, ზუსტი, ღრმა ანალიზი, მისი საღი შეფასება მიზნისაკენ წინსვლის მტკიცე ბალავერი.

მიღებული გადაწყვეტილების სისწორის შემოწმების პირუთვნელი მსაჯული კი დრო გახლავთ.

შენობის გარეშეც რომ დავრჩეთ, მეც და ჩემი თანამზრახველებიც, იმდენად გვჯერა ჩვენი ეროვნული იდეის, ამ ორგანიზაციას ქუჩაშიც კი შევქმნით, მითუმეტეს, ვიცით, რესპუბლიკაში ბევრი ღირსეული ახალგაზრდა გვიჭერს მხარს, ვიმეორებ, ჩვენ გვაქვს მოვალეობის მაღალი შეგნება და ამ წამოწყების იმედიც გვაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ახალგაზრდული კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს თვითგამორკვევის პროცესის ბოლო ეტაპს, ახალი შექმნილია, მასში უკვე გაერთიანებულია 123 ათასი კაცი. ეს ის ხალხია, ვისაც მტკიცედ სწამს ჩვენი ორგანიზაციის საჭიროება და მზად არიან მისთვის ყველაფერი გააკეთონ.

დიახ, ჩვენ ვქმნით ახალ ორგანიზაციას — საქართველოს ახალგაზრდულ კავშირს, რომელიც რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის უმთავრეს მიზანს ისახავს და ახალგაზრდული პროცესებისათვის ჭეშმარიტი გეზის მიმცემია.

3) ვფიქრობ „მიზანი ამართლებს საშუალებას", მაგრამ არა ყოველგვარი მიზანი ყოველგვარ საშუალებას. გამარჯვებულებსაც ასამართლებს ისტორია.

დღეისათვის საქართველოში საერთო ეროვნული ინტერესები უპირველესია. ამიტომ ცალკეული პარტიების ნება მას უნდა დაექვემდებაროს.

პოლიტიკურ ბრძოლაში თანამედროვე, ცივილიზებული, ჰუმანური ფორმების გამოყენების მომხრე ვარ და ამას პრაქტიკულად ვახორციელებთ.

**გიორგი ჭანტურია — საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.**

1) ვერ დაგეთანხმებით, რომ ეროვნული მოძრაობა კრიზისმა მოიცვა. პარტიათა შორის დაპირისპირება ყოველთვისაა და ყველგან... და სანამ კაცობრიობა იარსებებს, პარტიათა შორის წინააღმდეგობა ყოველთვის იქნება, ეს კი კაცობრიობის კრიზისზე არ მეტყველებს.

ის, რომ ხალხი ერთსულოვნად მოითხოვს ეროვნული ძალების გაერთიანებას, ჩემთვის გასაგები და მისაღებია. ეროვნული ძალების ერთიანობას, განსაკუთრებით დღეს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სამწუხაროდ ხალხის კეთილი სურვილები და მხოლოდ ჩვენი მონდომება საქმეს არ შველის: გაგება, ურთიერთპატივისცემა და ერთიანობის სურვილი ცალმხრივი კი არ უნდა იყოს, არამედ ორმხრივი.

ასე რომ, არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსავალი „მრგვალი მაგიდის" საშუალებით კი არა, მხოლოდ ფორუმისა და საკოორდინაციო ცენტრის საშუალებითაა შესაძლებელი. საკოორდინაციო ცენტრის კარები კი ყველასათვის ღიაა და როგორც იცით, — დღეისათვის ის აერთიანებს ოცზე მეტ პოლიტიკურ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ჩვენ ფორუმიდან გასულ და „მრგვალ მაგიდად" მონათლულ ორივე ორგანიზაციას ვეპატიჟებით საკოორდინაციო ცენტრში ერთობლივი ძალებით ეროვნული კონგრესის არჩევნებისათვის.

რაც შეეხება იმას, რომ „რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს პრიორიტეტული პოზიციებისათვის ბრძოლას ცალკეულ ლიდერთა მხრივ", ამაზე მოგახსენებთ, რომ ჩვენზე ჩვენივე ლიდერების აზრზე უფრო მეტად სხვისი, ობიექტური მესამე პირის, სრულიად საქართველოს აზრს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. „სხვამ" უნდა შეაფასოს თითოეული ლიდერისა თუ პოლიტიკური ორგანიზაციის ავ-კარგი.

2) კომკავშირმა თვითლიკვიდაცია უნდა მოახდინოს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, კომკავშირი არ ჩქარობს ამის გაკეთებას. ასე რომ, თუ „კომპრომისს" ვახსენებთ, ამ კომპრომისზე მხოლოდ კომკავშირი უნდა წავიდეს და რაც შეიძლება მალე უნდა მოახდინოს თვითლიკვიდაცია. სხვა გამოსავალი არ არსებობს და ვერავითარი „მოლაპარაკება თუ შეთანხმება" ვერ შეაჩერებს ობიექტურ პროცესს.

3) რაც შეეხება „გამარჯვებულებს", მათ ვერ გაასამართლებენ და თუ რატომ, ეს ადვილი გასაგებია.

პოლიტიკური ბრძოლის თანამედროვე, ცივილიზებულ ფორმებს, რა თქმა უნდა, უპირატესობას ვანიჭებთ, მაგრამ საკითხის ამგვარად დაყენება არ მიმაჩნია სწორად, რადგანაც პოლიტიკური ბრძოლის „თანამედროვე, ცივილიზებული ფორმები", სამწუხაროდ, არ გამორიცხავს მაკიაველიზმს და ამის უკანასკნელი ნიმუში დასავლეთის პოზიციაა ლიტვასთან დაკავშირებული.

ალბათ, რამოდენიმე საუკუნის შემდეგ დადგება ის დრო, როდესაც „პოლიტიკა" „პატიოსნების" სინონიმად იქცევა. ამისათვის კი სულ „მცირე" რამ — ადამიანის სრულყოფილებაა საჭირო.

**რედაქციისაგან: მკითხველს შევახსენებთ, რომ „ალტერნატიულ ფურცელში" მასალები ქვეყნდება პრაქტიკულად შესწორებების გარეშე და ისინი ყოველთვის არ გამოხატავს რედაქციის აზრს.**

## ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

**წინამდებარე** სტატიაში მოტანილი დოკუმენტები ფარდას ხდის საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში, კერძოდ 1918 წლის დეკემბერში საქართველო-სომხეთის შორის მომხდარი ომის მიზეზებს, მის მსვლელობას და შედეგებს. უნდა ითქვას, რომ ამ ფაქტის შესახებ ბოლო დრომდე თითქმის არაფერი, ან ძალიან მცირე ცნობილი მკითხველთა ფართო წრისათვის. თუმცა ეს არცაა გასაკვირი — იმ წლების ისტორია ხომ ყოველმხრივ მიჩქმალული და დამახინჯებული იყო, იგი თითქოსდა არც არსებობდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის არქივი ამჟამად საზღვარგარეთაა და იგი ნაკლებადაა გამოკვლეული ქართველი მეცნიერების მიერ. გარდა ამისა, გადამალული იყო აგრეთვე 1918-1921 წლების ქართული პერიოდული პრესა, ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც მკაცრად დაცულ სპეციალურ ფონდებში ინახებოდა და მის გასაცნობად რამდენიმე ორგანიზაციის ნებართვები იყო საჭირო.

სტატიაში გამოყენებული დიპლომატიური დოკუმენტები, ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერები, სამხედრო შტაბის ცნობები, საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადებები თავის დროზე დაბეჭდილი იყო სხვა- [illegible]

[illegible] დი ივანე ჯავახიშვილი წერს, „ჯერ კიდევ ქრისტეს წინათ საქართველო და სომხეთი მეზობლად ყოფილან. მაგრამ თავდაპირველად სომხეთს მცირე მიწა წყალი ეკავა და მხოლოდ მას შემდგომ, რაც ანტიოქოს დიდის სარდლებმა არტაქსიმ და ზარიადრმა ცალ-ცალკე ორი სომხთა სამეფო დაარსეს, თვით სომხეთის, ვითარცა პოლიტიკური ერთეულის საზღვრებიც გაფართოვდა. ეს ზრდა მათი მოსახლეობის ბუნებრივი განვითარების და გამრავლების შედეგი არ ყოფილა. სტრაბონის ცნობით, სომხეთის მეფეებმა მეზობლებს მიწები წაართვეს. სხვათა შორის, მაშინ ქართველთა ტომებისთვისაც წაურთმევიათ პარიადრი, ტაო, სპერი, ხორზენი და გუგარეთი. ეს ამბავი 191 წელს ჩვენს ერამდე მომხდარა და სომხთა პირველი იერიშია ქართველთა მიწა-წყლის დასაპყრობად. ამ დაპყრობილი ქვეყნების ბედი ამით არ გადაწყვეტილა. სტრაბონის გუგარენა ანუ გუგარეთი ეხლანდელ ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილს უდრიდა, რომელიც დაახლოვებით ჭოჭკანისა, ბოლნის-დმანისის, ლორის ხეობათა, ტაშირს, ახოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს მოიცავდა".

ეს ტერიტორიები ქართველებს უკან დაახლოებით 387 წელს დაუბრუნებიათ. მე-9 საუკუნეში კი ისევ სომეხთა ხელში გადავიდა (სომეხთა ერისთავთ-ერისთავის აშოტ ბაგრატიონის დროს). „ვერც ამ მეორეგზისმა სომეხთა მიერ დაპყრობამ შესცვალა არსებითად ქვემო ქართლის, ანუ ტაშირ-გუგარეთის ძირითადი კუთვნილების საკითხი — წერს ივანე ჯავახიშვილი — თუმცა თავიანთი მფლობელობის დროს სომხებმა აქა-იქ საეკლესიო ძეგლები და კულტური კერა შეჰქმნეს, მაგრამ თვით ქვეყანა წინანდებურად ქართული იყო და ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილად ითვლებოდა".

დავით აღმაშენებლის (1089-1125 წ.) მეფობის დროს ქართველებმა ხელახლა დაიბრუნეს ეს მხარე.

„შემდგომ საუკუნეში, როცა საქართველო დაუძლურდა, ჩვენს წინაპრებს ამ ადგილების შესანარჩუნებლად თავიანთი სიცოცხლე არ დაუზოგიათ. ვახტანგ VI-ის მეფობაშიც და XVIII ს. I ნახევარშიაც ქართლის სამეფოს საზღვარი სამხრეთით იყო, იქ, სადაც 18 საუკუნის წინათ. წერილობით ცნობებს გარდა ამას რუსეთში გამოცემული (1743 წელს) რუკაც ამტკიცებს, რომელიც ინახება რუსეთის მთავარი შტაბის სამხედრო სამეცნიერო არქივში. ერეკლე მეფის დროსაც, 1783 წელს, როცა ხელშეკრულება დაიდო რუსეთთან, სომხეთის საზღვარი და მთელი ქვემო ქართლი, ანუ ლორე-ბამბაკ-ბორჩალო საქართველოს უცილობელ საკუთრებას წარმოადგენდა.

XVI-XVIII საუკუნეებში სახელმწიფოებრიობას მოკლებული სომეხი ერი მუდმივ აწიოკებას განიცდიდა გარე მტერთაგან, სომხობა მამა-პაპეული მიწიდან იყრებოდა და თავშესაფარს უფრო მყუდრო ქვეყნებში ეძებდა. საქართველო სომხებისთვის ყველაზე მახლობელი ქვეყანა იყო, სადაც [illegible]

[illegible] ყრელი შემთხვევით და მის წინაშე წამოაყენეს საკითხი ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების ტფილისის გუბერნიიდან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების შესახებ, რომ ამგვარი სრულებით ხელოვნური საშუალებით გუმბრის გუბერნია შეექმნათ.

სომხეთა ეს სურვილი რომ განხორციელებულიყო, ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა ეს საკითხი შეესწავლათ და მოემზადებინათ შესაფერისი მოხსენება. 1913 წლის ნოემბერში შეიქმნა კომისია ერთი რუსის, 6 სომეხის, 4 თათრის, 1 გერმანელის და 2 ქართველის შემადგენლობით. კომისიამ დაადგინა, რომ „ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიიდან გამოყოფა სასურველი არ არის".

ეს დადგენილება 1914 წლის 24 იანვარს დაამტკიცა ტფილისის განსაკუთრებულმა საგუბერნიო საბჭომ (შემადგენლობა — 11 რუსი, 3 ქართველი, 2 სომეხი). ესე იგი, მიუხედავად იმისა, რომ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის წყენინება მოსალოდნელი იყო, ორივე კომისიამ სრულიად ობიექტური დადგენილება გამოიტანა. ასევე მოხდა ახალქალაქის მაზრის საკითხის შესწავლის დროსაც. თითქოსდა სომხების ტერიტორიულ პრეტენზიებს ბოლო უნდა მოღებოდა, მაგრამ...

დადგა 1918 წელი.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის (სეიმის) დაშლის შემდეგ საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. როგორც ცნობილია, ეს მოხდა 1918 წლის მაისის ბოლოს. დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნამ კიდევ უფრო გაამწვავა სომხეთ-საქართველოს შორის დაწყებული დავა საზღვრების შესახებ. იმდროინდელი სომხური გაზეთები, განსაკუთრებით კი „ორიზონი", „ჟოღოვრდი ძაინ"-ი განუწყვეტლივ ბეჭდავდნენ ამ საკითხებზე მეტად მიკერძოებულ სტატიებს, ილაშქრებდნენ საქართველოს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. მათ ზურგს უმაგრებდა სომხეთის მთავრობა „დაშნაკცუტიუნის"-პარტიის ლიდერის ო. კაჩაზნუნის მეთაურობით, რომელმაც უკვე ოფიციალურად გააჩაღა ცილისმწამებლური კამპანია საქართველოს წინააღმდეგ. საკითხი ეხებოდა ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრის ტერიტორიებს, რომლებიც ძირითადად სომხებით იყო დასახლებული და ამიტომ სომხეთის მთავრობა ამ ტერიტორიების მიერთებას მოითხოვდა. თავიანთ პრეტენზიებს დოკუმენტურად და ისტორიულადაც ასაბუთებდნენ: გამოსცეს რუკები, რომელთა მიხედვითაც გორი და თბილისიც კი „დიდი სომხეთის" განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა (იხ. „ისტორიული რარიტეტები", ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს საზღვრები" თბ. 1989 წ.). სომეხი დაშნაკები არ გამორიცხავდნენ სამხედრო ძალის გამოყენებას ამ სადაო ტერიტორიების საკითხის გადაწყვეტაში, ვინაიდან მათ ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის მხარდაჭერის იმედიც ჰქონდათ.

საქართველოს მთავრობა ცდილობდა, ამ პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრას, წამოაყენა სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის იდეა, რომელსაც დაშნაკები დაეთანხმნენ, ოღონდ ერთი შენიშვნით — თავდაპირველად უნდა ჩატარებულიყო წინასწარი თათბირი, კონფერენცია პირობითად დანიშნულ იქნა 1918 წლის ნოემბრის ბოლოს, რაზედაც 13 ნოემბრის № 23 დეპეშით ერევნიდან ე. გეგეჭკორის სახელზე გამოგზავნილ სომხეთის მთავრობის ნოტაში თანხმობაა გამოთქმული, ნოტას ხელს აწერს საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი.

# ერთი ომის დოკუმენტური ქრონიკა

## ანუ

## რა მოხდა 1918 წლის დეკემბერში




14 ნოემბრის № 4874 დეპეშით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი ატყობინებს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს სომხეთში ო. მდივანს, რომ **„თბილისში ყველაფერი მზადაა სომხეთის დელეგაციის მისაღებად".**

2 დეკემბერს შეკითხვა გაეგზავნა თბილისიდან მდივანს: **„როგორც ჩანს, კონფერენცია გადაიდება. გაიგე, თუ რატომ არ აგზავნის სომხეთის მთავრობა დელეგაციას სამშვიდობო კონფერენციაზე. ე. გეგეჭკორი".**

6 დეკემბერს ერევნიდან გამოგზავნილია № 73 დეპეშა: **„საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს. დღეს გადმომცეს ტიგრანიანის ნოტა შემდეგი შინაარსისა: სომხეთის მთავრობა გთხოვთ აცნობოთ თქვენს მთავრობას, რომ ჩვენ კონფერენციაში მანამდე არ მივიღებთ მონაწილეობას, სანამ ახალქალაქიდან და ბორჩალოდან ქართველთა ჯარი არ გავა". ო. მდივანი".**

7 დეკემბერს № 5447 დეპეშით ე. გეგეჭკორი აგზავნის ასეთი შინაარსის განმარტებას: **„ერევანი, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს მდივანს. გთხოვთ აცნობოთ ტიგრანიანს, რომ ახალქალაქში ჩვენი ჯარები შევიდნენ 5 დეკემბერს დილის 10 საათზედ. ჩვენი მთავრობის ასეთი ნაბიჯი გამოწვეულია ადგილობრივი ქართულ-სომხური მოსახლეობის დაცვის ინტერესებით, რომლებიც დაუსრულებელ ძალადობას განიცდიდნენ მაზრაში დარჩენილ ოსმალთა ჯარის ნაწილებისაგან. საქართველოს მთავრობა ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებს თავის ისტორიულ ტერიტორიად თვლის და სომხეთის პროტესტი ამ საკითხზე უადგილოა. დაე, ნუ ჩაერევიან ჩვენს შინაურ საქმეებში".**

8 დეკემბერს რადიო-დეპეშა ერევნიდან: **„საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. სომხეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს, რომ ქართველთა ჯარს უპირავს ლორის ჩრდილოეთით მდებარე სომხური და რუსული სოფლები** (დღევანდელი დმანისის, ბოლნისის რაიონების სამხრეთი ნაწილი, აგრეთვე სომხეთის სსრ კალინინოს, ალავერდის და ნოემბერიანის რაიონების ჩრდილოეთი ნაწილი — ს. ქ.). **ეს ტერიტორია სომხეთს ეკუთვნის და მოვითხოვთ ჯარის გაყვანას. ტიგრანიანი".**

10 დეკემბრის № 5497 დეპეშა თბილისიდან: **„საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს მდივანს. გადაეცით სომხეთის მთავრობას: ახლა მივიღეთ ცნობა სამხედრო მინისტრისაგან, რომ სანაინში გაჩნდნენ სომეხთა მე-4 მსროლელი პოლკის ნაწილები პოლკოვნიკ ტერ-ნიკოღოსოვის მეთაურობით. ატეხილია სროლა.**

**ახალქალაქიდანაც გვატყობინებენ, რომ იქაც, სოფელ ბოგდანოვკაში აღმოჩენილია სომეხთა ესკადრონი... ე. გეგეჭკორი".**

11 დეკემბრის რადიო-დეპეშა ერევნიდან ე. გეგეჭკორს: **„მოგახსენებთ რომ ჩვენმა მთავრობამ უკვე ორი ნოტა გამოუგზავნა თქვენს მთავრობას საქართველოს სამხედრო ძალის გაყვანის შესახებ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებიდან... ეს წინადადება არ ნიშნავს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას, ვინაიდან ტერიტორიები სომხებითაა დასახლებული და ამიტომ განუყოფელი ნაწილია სომხეთისა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მთავრობა ხელს აიღებს თავის აგრესიულ მიზნებზე, ვინაიდან ხსენებული მაზრების სომხურ მოსახლეობას არ სურთ საქართველოს ქვეშევრდომობა, გამოთქვამენ პროტესტს და ამიტომ საქართველოს ჯარმა ააწიოკა სომეხთა სოფლები. ჩვენს მთავრობას არ შეუძლიან გულგრილად უყურებდეს იმას, თუ როგორ უწესობას ახდენს ქართველი ჯარი იმ ტერიტორიაზე, რომელიც, ვიმეორებ, ეკუთვნის სომხეთს...... ტიგრანიანი".**

13 დეკემბერს სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე განცხადებას აკეთებს საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) სხდომაზე; „რა მოხდა სანაინში".

იმავე დღესვე საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს თბილისში ჯამალიანს გადასცა შემდეგი ნოტა:

**„სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ჯამალიანს.**

**სამხედრო მინისტრის მიერ მიღებული ცნობების თანახმად სანაინის გარშემო სამხედრო მოქმედებაში საქართველოს ჯარის წინააღმდეგ მონაწილეობას იღებენ სომხეთის რეგულარული ჯარები და მათ მოქმედებას სრული ორგანიზაციული ხასიათი აქვს. სანაინის ახლოს ყველა პუნქტებში მოწყობილია სამხედრო შტაბები, რომელთაც მეთაურობენ სომხეთის რესპუბლიკის მომსახურე შტაბების ობერ-ოფიცრები.**

**იმ საბედისწერო შედეგების თავიდან ასაცილებლად, რომელთა შექმნაც შეუძლია ამ სამწუხარო ინციდენტს, გთხოვთ მიმართოთ თქვენს მთავრობას, რომ მან სასწრაფო ზომები მიიღოს და გავლენა იქონიოს ჯარის ნაწილებზე და მოსახლეობის იმ უპასუხისმგებლო პირებზე, რომლებიც არღვევენ ორივე რესპუბლიკას შორის მეგობრულ განწყობილებას.**

**საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი".**

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მთავრობას ეს სასაზღვრო კონფლიქტი დროებით, ლოკალურ მოვლენად მიაჩნდა, ამასთანავე არ სურდა მოვლენათა გამწვავება. სწორედ ამით შეიძლება ავხსნათ ნოტის თავშეკავებული ტონი. თუმცა შემდგომში მოხდა კონფლიქტის ესკალაცია.

17 დეკემბერს პრესაში ქვეყნდება საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადება: **„სომხეთის ჯარი მუხანათურად შემოესია ჩვენს საზღვრებს. დაულიტეს და დაატყვევეს ჩვენი სასაზღვრო რაზმები, დაანგრიეს რკინის გზა და შესწყვიტეს სომხეთ-საქართველოს შორის ტელეგრაფიული კავშირი.**

**ძმათა შორის სრულიად მოულოდნელად სისხლი დაიღვარა.**

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავიდანვე ცდილობდა, ამიერკავკასიის ერთა შორის სოლიდარობის დამყარებას და ყოველი სადაო საკითხის შეთანხმებით გადაჭრას.**

**ამ მიზნით მან თავს იდვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კონფერენციის მოწვევა, სადაც ისინი ხელშეკრულებას დასდებდნენ, რომლის თანახმად, ყველა საკითხი, მათ შორის საზღვრების შესახებ, შეთანხმებით უნდა გადაჭრილიყო, ხოლო თუკი ეს ვერ მოხერხდა, საბოლოო განაჩენი ორივე მხარისათვის სავალდებულო არბიტრაჟს უნდა გამოეტანა. ასეთია საერთოდ დემოკრატიულ სახელმწიფოთა მისწრაფება, აქეთკენ მიილტვის ყველა დემოკრატიული ქვეყანა.**

**სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ კონფერენციაზე თავის წარმომადგენელთა გამოგზავნა არ მოისურვა და მოითხოვდა საქართველოს-სომხეთს შორის სადავო საკითხების წინასწარ გადაჭრას. ჩვენ ეს წინადადებაც მივიღეთ და სომხეთ-საქართველოს წინასწარ თათბირს ვუცდიდით. ამიტომ 10 ნოემბრიდან 30 ნოემბერს იქნა გადატანილი ამიერკავკასიის სახელმწიფოთა კონფერენცია.**

**ჩვენ დღიდანდღე ველოდით ერევნიდან სომხეთის წარმომადგენელთა ჩამოსვლას, მაგრამ ერევანში გაიმარჯვა იმ სამხედრო ჯგუფმა, რომელიც თავიდანვე წინააღმდეგი იყო სადაო საკითხების მორიგებით გათავებასა და მათ სომხეთ-საქართველოს თავს დაატეხეს ახალი უბედურება.**

**9 დეკემბერს სანაინში, სოფ. უზუნლართან თავს დაესხნენ ჩვენს სასაზღვრო რაზმის ჯარისკაცთ, შემდეგ დაატყვევეს და გაულიტეს ჩვენი რაზმები კობერსა და კორინჯში. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქმე გვქონდა პროვოკაციასთან, ამიტომაც ფართო სამხედრო მოქმედება არ დავიწყეთ. მხოლოდ შემდეგ გამოირკვა, რომ ამ ოპერაციებს სომხეთის ჯარის ოფიცრები მეთაურობდნენ.**

**მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობდით, რომ ეს იყო უპასუხისმგებლოთა ჯგუფის დანაშაული, ვინაიდან დაუჯერებლად მიგვაჩნდა მეზობელი რესპუბლიკის მიერ ორივე ქვეყნის ხალხისათვის ასეთი საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა. ჩვენს ასეთ რწმუნებას საფუძველს აძლევდა სომხეთ-საქართველოს ორი ათასი წლის ისტორია, რომელთაც არ ახსოვთ ერებს შორის ომი და სისხლისღვრა. პირიქით ისინი ხელიხელჩაკიდებულნი საერთო ძალ-ღონით ებრძოდნენ აღმოსავლეთის დესპოტთა ურდოებს.**

**ასეთი იყო საქართველოს მთავრობის შეხედულება, როცა ჩვენ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ ტიგრანიანის ხელმოწერილი ულტიმატუმი მივიღეთ, რომელშიც ერევნის მთავრობამ სომხებით დასახლებული ბორჩალოს და მისი მეზობელი მაზრების დაუყოვნებლივ დაცლა მოითხოვა.**

**შემოსევა-ულტიმატუმები ნაცვლად კონფერენციისა და მორიგებისა! ომი და სისხლი! ჩვენ მივიღეთ ყოველგვარი ზომები მშვიდობიანობის დასაცველად და სამხედრო მოქმედების თავიდან ასაცილებლად და ეს მის შემდეგაც, როცა სამშობლოს დამცველ ჯარისკაცთაგან რამოდენიმე ათეული მუხანათურად გაულიტეს! და ეს იმიტომ, რომ გვსურდა და გვსურს დასავლეთ ევროპის და ამერიკის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთად ომების საბოლოოდ მოსპობა და ხალხთა შორის სოლიდარობის განმტკიცება.**

**სამწუხაროდ, მებრძოლი რესპუბლიკის მეთაურები ფეხქვეშ სთელავენ დემოკრატიის საუკეთესო ტრადიციებს, ორივენ სახელმწიფო ხალხების მეგობრობას ძირს უთხრიან და მსოფლიო ომის დამთავრებისას ახალი ომის აჩრდილს იწვევენ.**

**საქართველოს მთავრობას ამ დანაშაულში არავითარი მონაწილეობა არ მიუძღვის, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სომხეთის მთავრობას.**

**მაგრამ სამხედრო მოქმედება უკვე დაიწყო. წინასწარ დარაზმული სომხეთის ჯარები ჩვენს დაბა-სოფლებს და ქალაქებს ემუქრებიან. რომ თავიდან ავიცილოთ ქვეყნის აოხრება, ჩვენ აუცილებელ საჭიროებად ვსცანით ფართო სამხედრო ზომების მიღება.**

**ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა, ვალდებულია შეასრულოს თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე.**

**მოქალაქენო!**

**ქართველი ხალხი მუდამ ცნობილი იყო თავისი რაინდობით და მოქალაქეობრივ უფლებათა შეგნებით.**

**ჩვენ მივმართავთ მოქალაქეთა ამ გრძნობებს დაიმედებული, რომ ჩვენი ქვეყნის ფარგლებში სამხედრო მოქმედების დროსაც კი მტკიცედ დაცული იქნება ყველა მცხოვრებთა — განურჩევლად ეროვნებისა — სარწმუნოებისა — უფლებანი.**

**სამხედრო მოქმედების დაწყებით ანარქიის გაჩაღებას სცდილობენ. არ წამოეგოთ ჩვენი რესპუბლიკის მტრების ანკესზე! დაიცავით სრული სახელმწიფოებრივი წესრიგი!**

**დაე იცოდნენ საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა, რომ საქართველოს მთავრობა ებრძვის არა სომეხ ერს, არამედ ებრძვის იმ სამხედრო ჯგუფს, რომელმაც ძმათა სისხლისღვრა გამოიწვია.**

**საქართველოს დემოკრატია მომხდურთ მთელ თავის ძალ-ღონეს დაუპირისპირებს და ფეხქვეშ გათელილ სამართლიანობას სულ ახლო მომავალში აღადგენს. ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ სადავო საკითხები გადაწყვეტილ უნდა იქნეს მშვიდობიანი მორიგებით და არა ხმლით!**

**სიმონ კილაძე,**
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

**აპრილი-მაისი, 1990 წ.**

(გაგრძელება იქნება)

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

# „რა ვქნა, ჩემო საქართველო, უფრო სხვანაირი მინდა"

## ანუ

## საშინაო ანალიზი აჭარაში მიმდინარე პროცესების მიხედვით

1990 წლის 9 მარტს მოწვეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველო ოფიციალურად გამოაცხადა ანექსირებულ, ოკუპირებულ სახელმწიფოდ. ამის შემდეგ მაინც უნდა ახელოდათ თვალი...

ბუნებრივია, არცერთ ნორმალურ ქართველს აღარ სურს საქართველო ისევ საოკუპაციო ჯარების მარწუხებში იტანჯებოდეს, ისევ კოლონიური ქვეყნის სტატუსი ჰქონდეს („თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...")...

ჩვენი მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაა, სრული დამოუკიდებლობაა. დღეს არსებული სხვადასხვა პოლიტიკური ალიანსები მიზნისკენ მიმავალ სხვა და სხვა გზას გვთავაზობენ (სამწუხაროდ ზოგი ალიანსი იმპერიალისტურ ძალებთან შეკრული მაფიის მიერ იმართება)...

დამოუკიდებლობის დეკლარირება თავისუფლებას არ ნიშნავს, ამავე დროს არსებითია, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ცნოს საქართველოს სახელმწიფო, მანამდე კი დიდი სამუშაოა ჩასატარებელი (თანაც უმოკლეს ვადაში ჰელსინკი-II-ის შეხვედრის მოწვევამდე)...

ვერც დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერას, ვერც მოსკოვის „კეთილი ნების" მოპოვებას, ვერც ეროვნული დაუმორჩილებლობის ორგანიზებას ჩვენ ვერ შევძლებთ, თუკი ქართველობა (საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებთან ერთად) არ შეკავშირდება, იდეურად არ გამთლიანდება. ჩვენი ამჟამინდელი მიზანი სწორედ გაერთიანებისათვის ბრძოლაა (გაერთიანება მხოლოდ მოწოდებებით და დეკლარაციებით შეუძლებელია; საჭიროა პოზიციათა მაქსიმალური დაახლოება და ამბიციების უკანა პლანზე გადაწევა). ჯერჯერობით ბაზალეთის ტბასთან ძმათამკვლელი ბრძოლის კონტურები ისახება... სიმბოლურია, ილიამ სწორედ ბაზალეთის ტბის ძირას მიგვასწავლა ოქროს აკვანის ადგილსამყოფელი; ბაზალეთის ტბასთან ბრძოლამ დაგვღუპა და იგივე შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ...

დუღაბის გაკეთება შეუძლებელია მინარევების სიჭარბის შემთხვევაში; პირველ ეტაპზე უნდა გამოვააშკარაოთ ერის შედუღაბების, შეკვრის ხელისშემშლელი მიზეზები და მექანიზმი (დროულად უნდა ვამხილოთ ამ მექანიზმის ყველა რგოლის არსი და არა მხოლოდ კერძო პიროვნებები).

●

ყველა ბოროტების თავიდათავი სიბნელეა; ბნელ გონებას ერევა სიხარბე, შური, პროვოკაცია, ველური ფანატიზმი, სულმოკლეობა... სიბნელედ თუ არა სხვა რად უნდა ჩაითვალოს შემთხვევები, როცა ერთი კუთხის ქართველი მეორე კუთხის ქართველს არ იცნობს, ან საერთოდ არ თვლის ქართველად; რომელიმე ქართველი თავის თავს რომელიმე კონკრეტული კუთხის წარმომადგენლად თვლის (თუშად, ინგილოდ, მეგრელად, აჭარელად, სვანად, მესხად, იმერელად...) და არა ზოგადად — ქართველად... რომელიმე ქართველი თავის თავს უფლებას აძლევს სხვა ქართველს ასწავლოს ქართველობა (ეტყობა, ასეთმა უტაქტობამ ათქმევინა ცნობილ ქართველ პოეტს ზურაბ გორგილაძეს შემდეგი სიტყვები: „არ გაგიჟდება?! — ვინმემ გასწავლოს სამშობლოს ახსნა და სიყვარული"?)... მინდა ერთ მომენტზეც შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება:

არც თუ იშვიათად, პრესის ფურცლებზე გამოჩნდება ხოლმე წერილები, რომელთა პათოსი მათდაუნებურად (ავტორთა უნებურად) ვნებს ქართული ეროვნული ცნობიერების სრულქმნის პროცესს; საერთო საქმეს დიდად უშლის ხელს ნახევრადსიმართლის თქმაც (ასეთია, მაგალითად, გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტის წერილი „ვინ ამღვრევს წყალს", რომელიც 2 მაისის „კომუნისტში" დაიბეჭდა).

არაიშვიათად ფართო მსჯელობის საგანი ხდება პროვოკატორთა თუ საქმეში ჩაუხედავ უბირ ინდივიდთა გამონათქვამები, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ რეალურ ვითარებასთან (ასეთია მაგ., 21 აპრილის „ახალგაზრდა ივერიელში" ნ. კვაჭანტირაძისა და ო. გველესიანის სტატიაში წარმოდგენილი რამდენიმე ფრაზა),.. როცა ვლაპარაკობთ ისეთ მრავალჭირგადახდილ კუთხეზე, როგორიცაა აჭარა, ყოველი სიტყვა უნდა მოვზომოთ! ბევრს ჩუმად ჩაუყლაპავს მსგავსი „მოუზომელი სიტყვით" მიყენებული წყენა, ბევრიც აღშფოთებულა **(„ტაო-კლარჯეთის ბოყვერი ვარ ბღუზი ბეწვებით, საქართველოში ქართველობას არ ვიხვეწები!".).**

●

ყველასთვის ნათელია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ სურთ მოსკოვის რეაქციულ ძალებს; ისინი ყველაფერს აკეთებენ ჩვენს შესაბორკად; მათ უკვე აამოქმედეს ჯაყოს მემკვიდრე უმადური ხიზნები (ერთი ნაწილი ოსებისა, თათრებისა, სომხებისა...); გონება აურიეს აფხაზთა ერთ ნაწილსაც; გვიმზადებენ ე. წ. „თურქ-მესხთა" შემოტევას; ცდილობენ შექმნან ინტერფრონტის ლიტვური ვარიანტი (ცენტრალური ტელევიზიისა და პრესის საშუალებით ბალტიისპირელი ინტერფრონტელები თავიანთ გამოცდილებას სხვებსაც უზიარებენ)... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მტერი ვერცერთი მხრიდან სასიკვდილო დარტყმას ვერ მოგვაყენებს; თუკი ისტორიულ გაკვეთილებს გავიხსენებთ, სასიკვდილო დარტყმა ისევ „ციხის შიგნიდანაა" მოსალოდნელი; ისევ ჩვენში, ქართველებშია ის მოღალატე, რომელიც კიდევ ერთხელ გაგვყიდის იასე ფალავანდიშვილივით... ისევ ჩვენს შორისაა ქართველი, რომელიც თავისი ამბიციურობის გამო გაგვწირავს შადიმან ბარათაშვილივით, გაგვიმართავს ბრძოლას ბაზალეთის ტბასთან გიორგი სააკაძესავით...

●

დღეს საქართველოს ყველა ქართულ რეგიონში ერთმანეთის მსგავსი პროცესები მიმდინარეობს; ყველასთვის ცნობილია, თუ როდის რა ხდება დედაქალაქში, მაგრამ, სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებრიობა ნაკლებადაა ინფორმირებული თუ როგორი ვითარებაა საქართველოს სხვა რეგიონებში; არც თუ იშვიათად, პროვინციაში მომხდარი ფაქტები სხვადასხვა ჯურის აგენტთა თუ საქმეში ჩაუხედავ ჟურნალისტთა „წყალობით" დამახინჯებულად ვრცელდება დედაქალაქში თუ სხვა რაიონებში...

ჩვენ ქვემოთ წარმოვადგენთ იმ კუთხის პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთ უახლოეს სურათს, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ:

მკითხველს, ალბათ, უკვე კარგად მოეხსენება, რომ აჭარის ავტონომიის შექმნა დაკავშირებულია ლენინ-ათათურქის სამარცხვინო და ქართველთათვის შემზარავ გარიგებასთან; გარდა ამისა, ამ ხელშეკრულებით თურქეთს ყირიმის სანაცვლოდ გადაეცა აჭარის სამხრეთით მდებარე საქართველოს ძირძველი ტერიტორიები და მიენიჭა თავისუფალი ტრანზიტის უფლება აჭარის ტერიტორიაზე... ნათელია, რომ იმპერიალისტური კრემლის პოლიტიკა აჭარის საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება ცალმხრივად იქნას განხილული: აჭარის ავტონომიის ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული თურქეთთანაც... ამას წინათ ხალხის ერთიანი ძალისხმევით ჩამოხსნილ იქნა ლენინის ძეგლი ბათუმში, ქობულეთში, ხულოში, ქედაში, ხელვაჩაურში. ამ ამბავთან დაკავშირებით ავტონომიის დედაქალაქში თურქეთიდან მოვიდა შეტყობინება, სადაც ნათქვამია, რომ ლენინის ძეგლის ლიკვიდირების ფაქტი აშფოთებს თურქეთს!..

ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების წევრი ქვეყანა და ლენინი? — იკითხავს გულუბრყვილო მკითხველი... ასეთს შევახსენებთ, რომ ოციანი წლების დასაწყისში, ბოლშევიკური რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ლენინმა მხარი დაუჭირა ქემალისტურ თურქეთს; აქედან მოყოლებული, ოქტომბრის რევოლუციის ბელადი თურქეთისა და რუსეთის შორის არსებული მეგობრობის ბურჯად ითვლება (ასეცაა მოხსენებული ლენინი აღნიშნულ შეტყობინებაში)... ჩვენთვის მეტად საფრთხილოა (საშიშია) გარიგებაზე დაფუძნებული მსგავსი მეგობრობა...

ბუნებრივია, მოსკოვის იმპერიალისტურ ძალებს ხელს არ აძლევს ეროვნული მოძრაობის აღმავლობა აჭარაში; არადა, მათდა სამწუხაროდ, დედაქალაქის კვალდაკვალ, აჭარაშიც თანდათანობით ძლიერდება ოპოზიციური ორგანიზაციების გავლენა მოსახლეობაზე (შესაბამისად, თანდათანობით ეცემა იმპერიის მესვეურთა ავტორიტეტი); დღესდღეობით აქ უკვე ჩამოყალიბებულია სხვადასხვა მძლავრი ორგანიზაცია თუ პარტია, რომელთა მიზანს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან ერთად, ქართველი ერის ცნობიერების დამამახინჯებელი ავტონომიური ბარიერის გაუქმებაც წარმოადგენს. ავტონომიის გაუქმების შემთხვევაში ცალმხრივად დაირღვევა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება, გარდა ამისა, აჭარის ავტონომიის მმართველი ბიუროკრატიული აპარატის გაუქმებით მოსკოვი დაკარგავს ეროვნული მოძრაობის შემაფერხებელ კიდევ ერთ საშუალებას... ამიტომაც იმპერიალისტური ძალები ყოველნაირად ცდილობენ ავტონომიის შენარჩუნებას; ამ მიზნისთვის ისინი აქტიურად იყენებენ როგორც კარიერისტთა მისწრაფებებს, ასევე „ვერცხლის გროშებზე", დახარბებულ მოღალატეთა სიხარბეს.

ამ არსებების ერთიანი მოქმედების შედეგად იშვა ჯერ **„აჭარის (ავტონომიის)** ხსნის კომიტეტი", რომლის წევრთა რიცხვი 10 კაცს არ აღემატებოდა და რომელსაც მოსახლეობამ „სავარძლის ხსნის კომიტეტი" შეარქვა; შემდგომ ამ ჯგუფმა ფერისცვალება განიცადა და „გარდაქმნის ხელისშემწყობი აჭარის საზოგადოება" დაირქვა... ეს ის ხალხია, რომელიც მთელ თავის მუშაობას ჭორების გავრცელების, დეზინფორმაციების პრინციპზე აგებს, იციან რა, რომ წყლის ამღვრევა ჩუმი ქირქილით უფრო იოლია...

მათ მიერ წყლის ამღვრევის ერთ-ერთი უკანასკნელი მცდელობას ადგილი ჰქონდა აპრილის შუა რიცხვებში, როცა მათ კინაღამ შეძლეს მეწყერსაშიშ ზონაში მოყოლილი პატიოსანი, მიწისმოყვარული, მაგრამ გულუბრყვილო გლეხების გამოყენება თავიანთი პროვოკაციული მიზნებისათვის; კერძოდ, მათ გამიზნული ჰქონდათ მიწების განაწილების საბაბით სხვადასხვა რაიონის მცხოვრებთა დაპირისპირება; ამით ისინი შეძლებდნენ მდგომარეობის დესტაბილიზაციას როგორც აჭარაგურიის რეგიონში, ასევე, შესაძლოა, მთლიანად საქართველოში... საბედნიეროდ, პროვოკაცია ჩაიშალა...

მოვლენები ასე განვითარდა:

ამ მავნებლურ ჯგუფს თავდაპირველად განზრახული ჰქონდა თავიანთი მიზნებისთვის გამოეყენებინა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩასახლებული სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა („აჭარაში დაგირიგებთ მიწებს" — ხალხს ჰპირდებოდნენ პროვოკატორები); ვინც უკვე დაფუძნებული იყო ახალ საცხოვრებელ ადგილას, ისინი არ წამოეგნენ ამ პროვოკაციას. ამის შემდეგ „გარდაქმნის მომხრეებმა" [illegible] რაში გაავრცელეს [illegible] უმიწაწყლოებს (მეწყერსაშიშ ზონაში მოყოლილებს) [illegible] უნდა დაურიგონ კოლმეურნეობის მიწები; თითქოსდა მთავრობაზე დაწოლის მიზნით, მათ ერთი ღამის განმავლობაში 200-მდე ოჯახს დააკავებინეს მონიშნული ტერიტორია (დაბა ჩაქვის ახლოს); შემდეგ დღითიდღე იმატა მიწასდახარბებულთა ნაკადმა და მალე 750-მდე სახელდახელო ქოხმახმა უცნაურ ქალაქს დაამსგავსა მრავალტკირნახული პეტრას მიდამოები...

აჭარის ე. წ. ავტონომიის ხელისუფლებას (რომელსაც, მართალია, გ. ემირიძე აღარ „ამშვენებს", მაგრამ ძველ აპარატს არანაირი ცვლილება არ [illegible]) არ შეიძლება წინასწარ არ სცოდნოდა ასეთი გლობალური აქცია, რომ მზადდებოდა (მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო, რომ ამ პროვოკაციული აქციის შესახებ არავითარი წინასწარი ინფორმაცია არ ჰქონდა ბ-ნ თ. ხახვას — პარტიის საოლქო კომიტეტის ახლადარჩეულ პირველ მდივანს); უფრო მეტიც, ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ და სხვა აქციების ორგანიზებაში მონაწილეობას ღებულობდა მაღალი ჩინის სამხედრო პირი, რომლის მითითებებსაც ასრულებდნენ ავტონომიის მმართველი აპარატის წარმომადგენლები... მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ზოგიერთი ხელმძღვანელი პირის (აღნიშვნის ღირსია ქობულეთის აღმასკომის თავმჯდომარის ბ-ნ ა. ბეჟანიძისა და შუახევის რაიონის წარმომადგენელთა სწორი მიდგომა) აქტიურმა მოქმედებამ უზრუნველყო აქციის მშვიდობიანად ჩაშლა...

გარდა ჩაქვისა, პროვოკატორებმა მსგავსი აქციები განახორციელეს სხვა რეგიონებშიც; შევეხებით ორ მათგანს:

ქ. ბათუმში ყოფილ ლენინის ქუჩაზე მათ ჩამოხსნეს ახალგაკეთებული ტრაფარეტები (რომელზეც ეროვნული გმირის — მერაბ კოსტავას სახელი ეწერა); მათ ეს საქციელი იმით ახსნეს, რომ მერაბ კოსტავას სახელი უკვე სხვა ქუჩას ჰქვია (მაგრამ მთავარი მიზანი კუთხისთვის სახელის გატეხვა იყო)...

მათივე ინიციატივით, ქ. ქობულეთში შეიკრიბა 30-მდე კაცი, რომლებმაც კინოთეატრის ჯამედ გადაკეთება მოითხოვა; ეს ის ხალხია, ვინც გუშინ ლენინის ქეჩით ხელში შესანიშნავ მამა-პაპურ სად- [illegible]

18 მაისს, პარასკევს, 19.00 საათზე ივანე მაჩაბლის ქ. № 11, „ალკკ ცენტრალური კომიტეტის“ შენობის წინ გაიმართა მრგვალ მაგიდასთან გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციებისა და მათი სტუმრების საინფორმაციო მიტინგი.

საღამოს 21.00 საათზე, მრგვალი მაგიდის დარბაზში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მორიგი შეხვედრა.

შეხვედრის დაწყების წინ მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, წევრებმა და სტუმრებმა უპასუხეს საქართველოს პრესისა და დასავლეთის ჟურნალისტების მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

სტუმრის სტატუსით მოწვეული იყო ბატონი რეზო შავიშვილი (დას-ი, — .დემოკრატიული არჩევნები საქართველოში), წევრი-ორგანიზაციის სტუმრის სტატუსით კვლავ მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია ორი წარმომადგენლით, აგრეთვე პროფესორი ბატონი ნოდარ ნათაძე.

# საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა

# მრგვალი მაგიდის V შეხვედრა

მრგვალი მაგიდის მუშაობის უპირველესი საკითხი კვლავ წინარე შეხვედრის გაგრძელება იყო — მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია. ბატონმა თედო პაატაშვილმა (წმიდა ილია მართლის საზოგადოება) მკაფიოდ ახსნა, თუ რატომ არის მისაღები პოლიტიკური კონცეფციის ეს სქემა, არასაბჭოური ხელისუფლებიანობის ერთადერთობა. და რა წარმატებების მოპოვება შეიძლება დასავლეთის მეთვალყურეთა თბილისში ჩამოსვლის შემთხვევაში.

პოლიტიკურ დისპუტში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარემ ბატონმა ირაკლი შენგელაიამ, რომელიც დაეთანხმა ამ გააზრებას და აღნიშნა, რომ დაახლოებით მსგავსი პროცესები მიმდინარეობდა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის, ამჟერად უკვე დემოკრატიული სტრუქტურების სახელმწიფოებში. დისპუტში ძალზე საინტერესო, კონსტრუქციული შენიშვნებით მონაწილეობა მიიღო შეხვედრის სტუმარმა ბატონმა რეზო შავიშვილმა (დემოკრატიული არჩევნები საქართველოში). მან ასევე მოიწონა მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფციის უმთავრესი ღირსებები. პოლიტიკური კონცეფციის ცალკეული დეტალების გააზრების შესახებ ისაუბრეს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ და ბატონმა ნოდარ ნათაძემ.

მრგვალი მაგიდის მუშაობის მორიგი საკითხი იყო ვითარება დღევანდელი ბოგდანოვკის სოფლებსა და სამაჩაბლოში. [illegible]ნილ იქნა კონსტრუქციული წინადადებები დაძაბულობის აღსაკვეთად.

შეხვედრა გვიან საღამომდე გაგრძელდა.

მრგვალი მაგიდის სპიკერი გახლდათ საქართველოს მონარქისტული (კონსერვატული) პარტიის თავმჯდომარე, ბატონი თემურ ჟორჟოლიანი.

მორიგი, რიგით VI შეხვედრა გაიმართება 22 მაისს, სამშაბათს, 20.00 საათზე მრგვალი მაგიდის დარბაზში (მაჩაბლის ქ. № 11; III სართული). მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციის სტუმრის სტატუსით მოწვეულია თაობათა კონსოლიდაციის ასოციაცია ორი წარმომადგენლით.

**თბილისი, 18 მაისი, 1990 წ. საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნე“.**

# საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა განცხადება

როგორც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ ამა წლის 15 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის წევრ ორგანიზაციებს საჭიროდ მიაჩნიათ განაცხადონ შემდეგი:

1. ცნობის თანახმად ეროვნული ყრილობის მოწვევის ინიციატორია საქართველოს ეროვნული ფორუმი და საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრი. საქართველოს ეროვნული ფორუმის წესდების მიხედვით ფორუმს ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მხოლოდ ფორუმის წევრთა ორი მესამედის თანხმობის შემთხვევაში; სადღეისოდ ფორუმიდან გამოსულია მის წევრთა თითქმის ნახევარი, ამის გამო ფორუმი ფაქტობრივად აღარ არსებობს და იგი ვერ მიიღებდა კანონიერ გადაწყვეტილებას ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ გამოსულ წევრებთან შეუთანხმებლად. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება ყრილობის მოწვევის შესახებ უნდა ჩაითვალოს **თვითნებურად და არამართლზომიერად.**

2. „ეროვნული ყრილობა“ მოწვეულია ნაჩქარევად, „ეროვნული კონსოლიდაციის“ [illegible] შესაქმნელად და პოლიტიკური დივიდენდების დასაგროვებლად; სრულიად გაუმართლებელია ყრილობაზე დასასწრები პირებისა და ორგანიზაციების შერჩევის პრინციპი და მექანიზმი, მაგალითად, „ეროვნულ ყრილობაზე“ მოწვეულია ე. წ. სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის ქართული კორპუსი სრული შემადგენლობით, ე. ი. „დაპატიჟებულია“ შორის არიან „ამხანაგები“, როდიონოვი, ნიკოლსკი, პატიაშვილი და ძმანი მათნი — ეს კი მეტისმეტია! ეროვნულ ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან აგრეთვე კოლაბორაციონისტული, საბჭოთა საოკუპაციო სტრუქტურების ტიპიური წარმომადგენლები, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებისადმი მტრული პოზიციის მქონე ორგანიზაციები (მაგალითად აზერბაიჯანული ასოციაცია „ჰეირათი“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში დემოგრაფიული ექსპანსიის განხორციელებას, აზერბაიჯანელთათვის სუვერენიტეტის, ე. ი. ავტონომიის მოპოვებას საქართველოში, აფხაზთა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“), მოწვეულთა შორის არიან აგრეთვე არაპოლიტიკური, კორუმპირებულ მაფიასთან პირშეკრული ფორმირებები და ისეთი ორგანიზაციები, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი გამოკვეთილი სახე ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რაც ეწინააღმდეგება „ეროვნული კონგრესის“ არჩევის დებულებებს, რომლებიც მოწონებულ იქნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის მიერ.

მრგვალმა მაგიდამ წინადადებით მიმართა „ეროვნულ ფორუმში“ დარჩენილ წევრებს ყველა ამ საკითხის გასარკვევად გამართულიყო დიალოგი ნეიტრალურ ადგილას, სახელდობრ, საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში, ამა წლის 18 მაისს 4 საათზე. „ფორუმის“ წარმომადგენლები, თავდაპირველი თანხმობის მიუხედავად, დათქმულ ადგილზე არ გამოცხადდნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციები შეუძლებლად თვლიან მონაწილეობას უკანონოდ მოწვეულ „ეროვნულ ყრილობად“ წოდებულ საეჭვო თავყრილობაში, რომლის სიმრავლე და სიჭრელე მოწმობს მისი მოწვევის ინიციატორთა ცდას პოლიტიკური სპეკულაციის მეშვეობით შენიღბონ ძალაუფლების ხელში ჩაგდების დაუოკებელი ჟინი და კოლაბორაციონიზმის გზაზე დადგომა.

მრგვალი მაგიდა ე. წ. ეროვნულ ფორუმს მიიჩნევს დაშლილად და ყველა ჯანსაღ პატრიოტულ ძალას მოუწოდებს ერთად იღვაწონ სამშობლოს თავისუფლების აღდგენის წმიდათაწმიდა საქმისათვის.

**აპრილი-მაისი, 1990 წ.**

**ბასული** წლის დეკემბერში შესრულდა დიდი ქართველი კომპოზიტორისა და ლოტბარის, ქართული კლასიკური საგუნდო მუსიკის ფუძემდებლის ნიკო სულხანიშვილის გარდაცვალების 70 წელი. 1991 წელს ქართველი ერი ზეიმით აღნიშნავს დიდი მამულიშვილის დაბადების 120 წლისთავს.

ნიკო პაატას ძე სულხანიშვილი (1871-1919) თავისებური მოვლენაა ქართული მუსიკის ისტორიაში. მას ქართული პროფესიული მუსიკალური სკოლის ფუძემდებელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია.

საყოველთაოდ აღიარებულია ნიკო სულხანიშვილის — კომპოზიტორის, ლოტბარის, ქართული ხალხური სიმღერის დაუღალავი პროპაგანდისტის უდიდესი როლი ქართული სამუსიკო ხელოვნების ისტორიაში. საგულისხმოა, რომ იგი თვითნასწავლი კომპოზიტორი იყო, მაგრამ მისი შემოქმედება მაღალი პროფესიონალიზმით აღინიშნება.

ნიკო სულხანიშვილის მრავალი ნაწარმოები დაკარგულია, მაგრამ ის მცირე ნაწილიც კი, რაც შემოგვრჩა, ქართული საგუნდო მუსიკის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. ქართველი ხალხის კუთვნილებად იქცა მისი ჰიმნი-ქორალები „ღმერთო, ღმერთო“, „დიდება ივერს“, ეპიკური სიდიადითა და ამაღლებული ლირიზმით აღსავსე „სამშობლო ხევსურისა“, პატრიოტული „მესტვირული“, „გუთნური“ — ეპიკურად გაშლილი საგუნდო სცენა, „დაიგვიანეს“ და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობას არ ახასიათებს ჟანრული მრავალფეროვნება, მაგრამ გამოირჩევა თემატიკის მრავალფეროვნებითა და იდეური მნიშვნელობით.

ნიკო სულხანიშვილი გვევლინება კლასიკური ქართული a capella-ს შეუდარებელ ოსტატად და ფუძემდებლად. კომპოზიტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ჩამოყალიბდა ქართული ხალხური საგუნდო ტრადიციების ნიადაგზე.

# მამულიშვილის სახელობისა

## მომავალ წელს სრულდება ნიკო სულხანიშვილის დაბადების 120 წლისთავი

ნიკო სულხანიშვილმა თავისი ნაწარმოებების მუსიკალური ენით საშუალება მისცა მსმენელს ჩაეხედა ქართველი ხალხის შინაგან სულიერ სამყაროში, გაეცნობოდა მის ტემპერამენტს, ყოფაცხოვრებას, მსოფლმხედველობას.

ნიკო სულხანიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა ნათელი მაგალითია მშობლიური ხალხისადმი უანგარო სამსახურისა.

**„ვინც ნიკო სულხანიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას გაეცნობა, ის ჰპოვებს მათში სიცოცხლის გამამხნევებელ ძალას, მზიურ, აღმაფრთოვანებელ განწყობილებას, დაუშრეტელ ენერგიასა და სიყვარულს ამქვეყნიური ბრძოლისა და ცხოვრებისადმი“** — წერდა თავის მონოგრაფიაში გიორგი ნადირაძე.

ტრაგიკული აპრილიდან დაწყებული გამუდმებით ჟღერს მისი ქორალი „ღმერთო, ღმერთო“ და ჰიმნი „დიდება ივერს“ საკონცერტო დარბაზებში, ტაძრებსა თუ ეკლესიებში, რადიოსა და ტელევიზიაში (სხვათა შორის, ამ ორივე ნაწარმოებმა, თავის დროზე, 1918 წელს გამოცხადებულ ეროვნული ჰიმნის კონკურსზე პირველი და მეორე ადგილი დაიკავა).

ნიკო სულხანიშვილი დაიბადა სოფ. აწყურში (ამჟამად ახმეტის რ-ნი), მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვობაში თელავში ჩამოუყვანიათ და მას შემდეგ მისი ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა ამ ქალაქთან არის დაკავშირებული. აქ შექმნა მან თავისი შედევრები და პირველადაც აქ აჟღერდა მისი ჯადოსნური ჰანგები.

ნიკო სულხანიშვილის შემოქმედების გაცნობამ, შესწავლამ ბევრ თელაველს აღუძრა სურვილი შეექმნათ საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი მიზანი იქნებოდა დაეარსებინათ თელავში კომპოზიტორის მუზეუმი, აჟღერებულიყო მისი უკვდავი ჰანგები...

თელაველებს შეგვწევს ძალა სათანადო პატივი მივაგოთ ჩვენს დიდებულ მამულიშვილს; ქალაქის მესვეურებიც დიდი ხანია გვპირდებიან, რომ გამოგვიყოფენ ფართობს მუზეუმისათვის იმ სახლში, სადაც უკანასკნელ 7 წელს ცხოვრობდა კომპოზიტორი თავისი ოჯახით (ახლა ამ ოთახებში სპორტკომიტეტია მოთავსებული). სწორედ ამ სახლზე კვლავ აღდგენილია მემორიალური დაფა. ქუჩას, სადაც ეს სახლი მდებარეობს, ეწოდა ნიკო სულხანიშვილის სახელი. თელავის I საშუალო სკოლის (მაშინდელი სასულიერო სასწავლებლის) ფასადზე გაკეთებულია მემორიალური დაფა. აქ ერთხანს ნიკო სულხანიშვილი გალობის მასწავლებლად მუშაობდა.

ნიკო სულხანიშვილის მუზეუმის შექმნის იდეა დიდი ხანია მომწიფდა ჩვენში.

1984 წლის 5 დეკემბერს საქართველოს კულტურის სამინისტროს მეთოდკაბინეტში წარდგენილ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ბ. ტორაძის ანგარიშში (იგი იმყოფებოდა თელავის სამუსიკო სასწავლებელში თეორიული საგნების შესამოწმებლად და გავაცანით ჩვენი სურვილი) იყო ასეთი წინადადება: **„როგორც ცნობილია, კახეთის მკვიდრი იყო ქართული მუსიკის კლასიკოსი — კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი. თელავში აუცილებლად უნდა შეიქმნას მისი სახელობის სახლ-მუზეუმი; ხოლო კომპოზიტორის მშობლიურ სოფელში აწყურში — მემორიალური ბინა. ის საქმე არ ითმენს არავითარ დაყოვნებას. ეს რაიონის კი არა, მთელი საქართველოს ეროვნული ღირსების საქმედ გვესახება“.**

უფრო ადრეც თელავის მკვიდრი, კომპოზიტორი რამაზ ქარუხნიშვილი 1983 წლის № 7 „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოთქვამდა სურვილს: **„კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი კახური სიდინჯე შორს გადაგვეგდო და თელავში დაგვეწესებინა დიდი კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის დღეები, სადაც აჟღერდებოდა მისი დიდებული გუნდები...“**

მრავალ ამგვარ მოთხოვნათა შორის უნდა გამოვყოთ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ გიორგი ჯავახიშვილის მიერ რაიონულ გაზეთში („ალაზნის განთიადი, 1987 წლის 27 იანვრის № 11) გამოქვეყნებული წერილი „ერისკაცების პირველი ფილმები“. ავტორი ჯერ მაშინ გვთავაზობდა მოგვეხდინა შენობის რესტავრაცია, გაგვეხსნა მემორიალური მუზეუმი. იგი ამ სიტყვებით ამთავრებდა თავის წერილს „ეგების დავფიქრდეთ ამაზე, ძვირფასო თანაქალაქელებო!“.

1989 წლის მაისში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სსრკ სახალხო არტისტმა, პროფესორმა ს. ცინცაძემ, შეიტყო რა, რომ თელავში განზრახული იყო მოწყობილიყო ნიკო სულხანიშვილის მუზეუმი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სახელით მიესალმა თელავის მესვეურთა ამ მამულიშვილურ გადაწყვეტილებას მუზეუმის შექმნის შესახებ და გამოთქვა რწმენა, რომ იგი გადაიქცეოდა ქართული მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდისა და ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის შესანიშნავ კერად.

„ალაზნის განთიადის“ ფურცლებიდან (1989 წლის 20 აგვისტო, № 109) გავეცანით თელავის საპატიო მოქალაქის, საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვახტანგ ბოჭორიშვილის შესანიშნავ წერილს „თუ ჩვენი თავი გვინდა...“ — **„ნ. სულხანიშვილი, ჩვენი ქალაქის მკვიდრი, განსაკუთრებული ფიგურაა საქართველოს ხელოვნების, კერძოდ, მუსიკის ისტორიაში. ის ცალკეული ხურათებიც კი, რაც შეგვრჩენია, გამომზეურებას, ხალხის სამსახურში დაყენებას თხოულობს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მუზეუმის გახსნა საშუალებას მისცემს ამ საქმის ენთუზიასტებს გაშალონ სამეცნიერო მუშაობა და ცალკეული ფრაგმენტების ნაცვლად, ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებს წარუდგინონ დიდებული ქართველის, საგუნდო მუსიკის გენიალური შემოქმედის მთლიანი სახე ჩვენდა საამაყოდ და შვილთა ჩვენთა გასანათლებლად“.**

შორს წაგვიყვანდა, ჩამოგვეთვალა ყველა ის გულმხურვალე ადამიანი, ვისაც ამგვარი სურვილი გასჩენია.

ჩვენ დიდ და ჭეშმარიტ საქმეს მოვკიდეთ ხელი. ყველაფერ ამას ცოდნა, დრო, პატიოსანი კაცის ხელი, სათნოება და გულშემატკივრობა სჭირდება.

ერთ-ერთ თავის წერილში ცნობილი ქართველი მწერალი და ლიტერატურისმცოდნე გიორგი მერკვილაძე წერდა: „სათნოებას გამოვლენის მრავალი ასპექტი აქვს. რაც უფრო მეტად გამსჭვალულია მთელი საზოგადოება თუ ცალკეული პიროვნება სიკეთეზე, თავის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, საკუთარ ღირსებასა და მოყვასზე, მთელს ირგვლივ სამყაროზე ზრუნვით, მით უფრო სრულფასოვანი, ჰუმანური, ზნეობრივად მდიდარია იგი“.

(დასასრული მე-7 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# კმარა!

... სამტრედია, ფოთი, ბათუმი, წალენჯიხა, გაგრა, ქუთაისი, გურჯაანი —

— ვინ იქნება შემდეგი? რაღაც უნდა ვიღონოთ, რომ ეს სია არ გაიზარდოს. დიახ, ამ ქალაქების სტადიონებზე წლევანდელ სეზონში უკვე რამდენიმე ფაქტი მოხდა, რომელიც ძირს უთხრის ეროვნულ ჩემპიონატს. რა თქმა უნდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისია თავისი მკაცრი სანქციებით ყველა ღონეს ხმარობს წესრიგის გასამტკიცებლად, მაგრამ ალბათ, ზოგიერთისათვის ეს ყველაფერი არასერიოზულად არის მიჩნეული. ხშირი მიზეზი მაყურებელთა გაგულისებისა მთელ რიგ თამაშებში მსაჯობის დაბალი დონე არის, თუმცა ჩვენ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მთელ რიგ რაიონებში მატჩის წინ- ეს მართლაცდა უცნაური პროფესიის ხალხი გარკვეულ ფსიქოლოგიურ დაწოლასაც გრძნობენ. მაგრამ, ამისთანას ადგილი არ ჰქონია გორში, სადაც XI ტურის მორიგ მატჩში ადგილობრივი „დილა“ ზუგდიდის „ოდიშს“ ხვდებოდა. დიახ, მოხდა ის, რაც აქამდე (საბედნიეროდ!) არ გვინახავს — მეორე ტაიმში ორივე გუნდის გულშემატკივართა ერთმა ნაწილმა ერთმანეთში ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს და თამაშიც ორჯერ შეჩერდა. წესრიგის დამცველებს რომ არ ეყოჩაღათ, ალბათ, ძალზედ სავალალო შედეგები მოჰყვებოდა ყოველივე ამას. ესღა გვაკლდა, ჩვენი სტადიონები ბრიუსელისა და შეფილდის მსგავსად ყვავილებით ხომ არ უნდა მოვფინოთ? კი მაგრამ რა იყო ყოველივე ამის მიზეზი — იკითხავს, ალბათ, მკითხველი. ორივე გუნდის გულშემატკივარი აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა მთავარი მსაჯის მოქმედების გამო, რომელმაც, მათი სიტყვებით უფრო დაძაბა სტადიონზე არსებული დამუხტული სიტუაცია, პირველი ტაიმი კი ცუდს არაფერს მოასწავებდა. თამაში თავიდან თითქმის თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა, თანდათან გამოიკვეთა გორის „დილას“ უპირატესობა. მათ რიგებში განსაკუთრებით აქტიურობდნენ მარცხენა მცველი კახა წიკლაური, ნახევარმცველები ბიძინა ქობესოვი და რონ[ინ] მარლიშვილი, აგრეთვე, მეტად ტექნიკური ფორვარდი დავით ნეფარიძე. „ოდიშის“ რიგებში, როგორც ყოველთვის, ძალზედ სახიფათო იყო მათი კაპიტანი მელორ ბიგვავა, საკმაოდ აქტიურობდა მარცხენა ფლანგზე მერაბ შეროზია, რომელიც ჯერ კიდევ შარშან გორის „დილას“ ღირსებას იცავდა. მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად დაიწყო, თუმცა ამის შემდეგ 15 წუთის განმავლობაში შეხვედრის ტემპმა საგრძნობლად იმატა და მატჩიც უფრო სანახაობრივად მიმზიდველი გახდა. ზუსტად ამ დროს მეტოქის საჯარიმოში ორჯერ ზედიზედ შეიქმნა სათამაშო ეპიზოდი, როცა ჯერ მარლიშვილი, შემდეგ კი ზვიად ხორგუაშვილი, მიწაზე წაქცეულნი აღმოჩნდნენ. მატჩის არბიტრის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ანატოლი მილჩენკოს სასტვენი ორივე შემთხვევაში სდუმდა და ჩვენც არ ვაპირებთ მისი სამართლიანობის შეფასებას — ამას ვიდეოფირზე ნახავენ, იყო თუ არა, პენალტები (განსაკუთრებით — მეორე). სანამ მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო გორელი მაყურებელი ნელ-ნელა მშვიდდებოდა, მათ კარში „ოდიშმა“ გოლიც გაიტანა. დიახ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე. ერთ-ერთი მწვავე კონტრშეტევის დროს ზუგდიდელებმა კუთხურის ჩამოწოდების უფლება მიიღეს, რის შემდეგაც მარცხენა მცველმა დევი ჯავაშვილმა ახლო მანძილიდან გახსნა კიდევაც ანგარიში. ზუსტად აქ მოხდა პირველი ინციდენტი გორელ და ზუგდიდელ გულშემატკივართა შორის, რომელიც სულ მალე იქნა აღკვეთილი. თამაში განახლდა თუ არა, „ოდიშის“ კარში შეხვედრის მსაჯმა მართლაც-და საეჭვო პენალტი დანიშნა. იგი ზუსტად შეასრულა მალხაზ გაზაშვილმა. ამას კი უარესი შედეგი მოჰყვა — აღმოსავლეთ ტრიბუნაზე ავისმომასწავებელი სიტუაცია შეიქმნა, რომელიც სულ მალე ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა... ზოგიერთი სტადიონზე შემოჭრასაც ლამობდა, მაგრამ წესრიგის დამცველების და ნაღდი ფეხბურთის მოყვარულთა აქტიური ჩარევით ინციდენტი, რომელიც დაახლოებით 5 წუთს გრძელდებოდა, როგორც იქნა აღმოფხვრილი იქნა. თამაშის გაგრძელების შემდეგ, სულ მალე, თანაგუნდელებმა გარლევაზე გაიყვანეს თავიანათი კაპიტანი ზვიად ხორგუაშვილი, რომელმაც გადამწყვეტი ბურთი გაიტანა „ოდიშის“ გამოცდილი მეკარის, გელა ჰანტურიას კარში. ამის შემდეგ ძნელი იყო მოგვეთხოვა ფეხბურთელებისათვის გააზრებული თამაში, თუმცა „ოდიშის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეხვედრის ბოლო წუთებში მათ მეტოქის საჯარიმოში გაატარეს. გარკვეული გამოცოცხლება შეიტანა თამაშში ახლად შემოსულმა ბიძინა ხვიტიამ, ხოლო ყველაზე სახიფათოდ კვლავ მელორ ბიგვავა და მარცხენა მცველი დევი ჯავაშვილი მოქმედებდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ 21 წლის ფეხბურთელმა, ისევე როგორც გორელთა რიგებში 20 წლის დავით ნეფარიძემ და 19 წლის რონინ მარლიშვილმა, საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა, ანგარიში კი შეხვედრის დამთავრებამდე არ შეცვლილა 2:1.

... მატჩის დამთავრების შემდეგაც არ ჩამქრალა გულშემატკივართა ვნებები. რამდენიმე გულშემატკივარმა რეალური წინადადებაც შემოიტანა მატჩების ნორმალურად წარმართვისათვის — მოედნის გარშემო მავთულის ღობის შემოვლება, რათა მაყურებელს პირდაპირი კონტაქტის საშუალება არ ჰქონდეს მსაჯებთან და ფეხბურთელებთან...

დასასრულ კი, მატჩში, რომელიც სულ მალე, ალბათ, სადისციპლინო კომისიაზე განხილვის საგნად იქნება, გუნდებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს:

**„დილა“ — ჩოჩიევი, კონდრატიევი (მელქაძე), გაგნიძე, ქობესოვი, წიკლაური, კოშკაძე (ანიაშვილი), ჩადუნელი, გაზაშვილი, მარლიშვილი (ტაბატაძე), ნეფარიძე, ხორგუაშვილი.**

**„ოდიში“ — ჰანტურია, კვიტატიანი, მაქაცარია (ხვიტია), ჟუთბერიძე, ჯავაშვილი, სართანია, მალანია, შეროზია, ბიგვავა, ტიბუა, აფაქიძე.**

**გია ტუხაშვილი**




# ღია წერილი

## სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს ბატონ აკაკი ბაქრაძეს!

ბატონო პრეზიდენტო, დღეს ჭეშმარიტად ყოველი ქართველის ყურადღება მიქცეულია სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობისადმი და რაოდენ სამწუხაროა, რომ მასში არ ღებულობს მონაწილეობას ეროვნული მოძრაობის პატრიარქი ბატონი ზვიად გამსახურდია და რამდენიმე პოლიტიკური პარტია.

ბატონო პრეზიდენტო! დღეს საქართველოს ძალიან უჭირს. კარზეა მომდგარი ჰელსინკი 2-ის ფორუმი, რაზედაც საქართველოს საკითხი აუცილებლად უნდა გავიდეს. ასეთ დროს საქართველოსათვის ეროვნული მოძრაობის გათიშვა დამღუპველია.

ბატონო პრეზიდენტო! ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს ღვაწლს საქართველოს წინაშე. ისიც ვიცით, რომ თქვენ პირველმა ჩათვალეთ საჭიროდ სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უმორჩილესად გთხოვთ, გააკეთოთ ყველაფერი, რათა აღდგეს ეროვნული მოძრაობის ერთიანობა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამ მეტად მნიშვნელოვანი მისიის შესრულება.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ არ გვინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ სხვა გზა აღარ გვაქვს. ქართველი კაცი დღეს უკვე ორიენტაციას კარგავს. აღარ იცის, ვის დაუჭიროს მხარი: ეროვნული კონგრესის არჩევას თუ მრგვალ მაგიდას. ბოლოს და ბოლოს ქართველი კაცი ერთხელ ხომ მაინც უნდა ეღირსოს ჭეშმარიტად ქართული არჩევნების ჩატარებას.

**ულრმესი პატივისცემით, გლდანის 5 მ/რ-ის მე-5 და მე-6 კორპუსის მცხოვრებლები.**

**სულ 21 ხელმოწერა.**

# მამულიშვილის სახელობისა

(დასასრული)

თელავის საზოგადოებაც იმით გამოირჩეოდა, რომ ყოველთვის გამსჭვალული იყო თავის წარსულზე ზრუნვით.

ამიტომაც შეიქმნა „ნიკო სულხანიშვილის საზოგადოება“.

1989 წლის 19 ოქტომბერს თელავის სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში შედგა საზოგადოების დამფუძნებელი კრება.

როგორც აღვნიშნეთ, 1991 წელს სრულდება კომპოზიტორის დაბადების 120 წლისთავი. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით და მომავალშიც გვსურს, რომ ახლადდაარსებული საზოგადოების საქმიანობა უფრო შინაარსიანი, საინტერესო და ნაყოფიერი იყოს.

თელავში შეიქმნა ახალი საზოგადოება. იგი მზადაა ემსახუროს ერის ინტერესებს, აკეთოს კეთილი საქმე.

**ნელი ზუროშვილი**

გაგაცნობთ „ნიკო სულხანიშვილის საზოგადოების“ პროგრამას, საზოგადოების წევრები სიამოვნებით მიიღებენ შენიშვნებსა და წინადადებებს.

### „ნიკო სულხანიშვილის საზოგადოების“ პროგრამა

დიდი ქართველი კომპოზიტორის, ქართული კლასიკური საგუნდო მუსიკის ფუძემდებლის ნიკო სულხანიშვილის საზოგადოება არის თანამოაზრეთა (ნ. სულხანიშვილის პიროვნებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის თაყვანისმცემელთა) თვითმმართველობაზე და თვითდაფინანსებაზე დამყარებული ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

იგი მოწოდებულია:

**1. ხელი შეუწყოს საქართველოს ეროვნული აღმავლობის საქმეს, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპებს.**

**2. მიზნად ისახავს დააარსოს ნ. სულხანიშვილის მუზეუმი.**

**3. მიზნად ისახავს ქართული მუსიკის პოპულარიზაციას, ძირითადად კი ნ. სულხანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლასა და პროპაგანდას.**

**4. იქადაგებს ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მუსიკალური კულტურისა და ხელოვნების სიყვარულს.**

**5. იზრუნებს თელავის კულტურულ-ისტორიული, მუსიკალური ტრადიციების განვითარებისათვის.**

**6. ჩაატარებს სემინარებს, დისკუსიებს, კონფერენციებს.**

**7. დადგენილი წესების საფუძველზე, მოაწყობს კონცერტებსა და მუსიკალურ საღამოებს.**

**8. ითანამშრომლებს იმ საზოგადოებებთან და ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოების იდეალებს.**

**9. დაეხმარება ქართული მუსიკით დაინტერესებულთ ქართული ხალხური და კლასიკური მუსიკის შესწავლაში.**

**10. გასწევს კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მუშაობას. შემოქმედებით მუშაკებს დაეხმარება კონცერტების, ლექცია-კონცერტების, კონკურსების გამართვაში, გამოფენების მოწყობაში.**

**11. დააფინანსებს და ყოველნაირად ხელს შეუწყობს ნ. სულხანიშვილის მუზეუმს.**

# გადაწყდეს დისკუსიაში

დღეს უკვე ხშირად ლაპარაკობენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალებს შორის არსებულ სერიოზულ წინააღმდეგობაზე და არაიშვიათად ამის მიზეზად პიროვნულ შეუთავსებლობასა და ამბიციებს ასახელებენ. რედაქციაში შემოსული წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ მოსაზრებას ბევრი არ ეთანხმება. მკითხველის აზრით, დაპირისპირების ძირითადი მიზეზები ისევ და ისევ პოლიტიკურ მოსაზრებათა და მიზნის მიღწევის საშუალებათა განსხვავებაში უნდა ვეძიოთ და ეს ბუნებრივად თანმდევი პროცესია ყველა საარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური ბრძოლისა. მთავარია, რომ მიზანი ყველასათვის ერთია — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მისი მიღწევის ერთ-ერთი მთავარი პირობაც არავითარ ეჭვს არ იწვევს. ესაა იმ იურიდიული პირის (კონგრესის) არჩევა, რომელსაც ექნება ერის ნდობის მანდატი და იმოქმედებს მისი სახელით.

ჩვენს სარედაქციო ფოსტაში აღმოჩნდა შემდეგი წერილ-ანკეტაც, რომელსაც ვაქვეყნებთ იმ იმედით, რომ ის გარკვეულად სიცხადეს შეიტანს და განმუხტავს შექმნილ დაძაბულ სიტუაციას.

**1. საქართველოში უნდა ჩატარდეს:**

ა. მხოლოდ ეროვნული კონგრესის არჩევნები. მანამდე ხელისუფლებამ უნდა აღიაროს არჩევნების ერთადერთობა და ოფიციალურობა.

ბ. მხოლოდ ეროვნული კონგრესის არჩევნები, იმ შემთხვევაშიც, თუ ხელისუფლება არ აღიარებს არჩევნების ერთადერთობასა და ოფიციალურობას.

გ. ეროვნული კონგრესისა და უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც.

დ. მხოლოდ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

**2. საქართველოს ეროვნული კონგრესის ფუნქციები:**

ა. ქართველი ერის ნების გამომხატველი, ეროვნული მოძრაობის წარმმართველი და მაკოორდინირებელი იურიდიული სუბიექტი, რომელიც ხელისუფლებას ხელში აიღებს საოკუპაციო ჯარის გაყვანის, ე. ი. დეკოლონიზაციის შემდეგ.

ბ. საქართველოს ოკუპაციის პერიოდში დროებითი, გარდამავალი პერიოდის ხელისუფლება.

გ. ეროვნული კონგრესი თვითონ განსაზღვრავს თავის ფუნქციებს.

**3. საქართველოს სსრ-ს სახელწოდება უნდა შეეცვალოს და ეწოდოს:**

ა. არჩევნების შემდეგ.

ბ. არჩევნებამდე—საქართველოს რესპუბლიკა.

გ. არჩევნებამდე—შეიარაღებული ანექსიის ქვეშ მყოფი ქვეყნის შესაბამისი სახელწოდება.

**4. საქართველოს დღევანდელი უმაღლესი საბჭო უნდა გაუქმდეს:**

ა. ეროვნული კონგრესის არჩევის პარალელურად.

ბ. ეროვნული კონგრესის არჩევის შემდეგ, სიტუაციის მიხედვით.

გ. არ უნდა გაუქმდეს. მან უნდა იარსებოს ეროვნული კონგრესის პარალელურად.

**5. რა საარჩევნო სისტემით მოხდეს ეროვნული კონგრესის არჩევნები:**

ა. პროპორციული სისტემით (პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიხედვით. მათი ბლოკების სიათა კენჭისყრით).

ბ. მაჟორიტალური სისტემით (ცალკეული კანდიდატის დასახელებით და კენჭისყრით საარჩევნო ოლქებში).

**6. არჩევნებში უნდა მონაწილეობდეს:**

ა. ყველა პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და პირი, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

ბ. არ უნდა მონაწილეობდნენ სკკპ წევრები, სამხედრო მოსამსახურენი და რესპუბლიკაში დროებით ჩაწერილები.

გ. არ უნდა მონაწილეობდნენ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეები და რესპუბლიკაში დროებით ჩაწერილები.

კითხვარის შემავსები საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლობითი ჯგუფის, პიროვნების დასახელება————

გთხოვთ, თქვენთვის მისაღები პასუხის სათანადო აღმნიშვნელი ასო შემოხაზოთ და შევსებული ანკეტა 23 მაისს, ყრილობაზე, სპორტის სასახლეში ჩააბაროთ სოციოლოგიური გამოკვლევის ჯგუფს.



# კოლეგის ხსოვნას

ბოლო რადიოგადაცემის მომზადება ვერ შეძლო... რადიომსმენელებს კი ასე აუხსნა მისმა კოლეგამ გადაცემის „ჩავარდნის“ მიზეზი: „11 საათი და 15 წუთია თბილისის დროით. ამ დროს ყოველთვის ეთერშია რადიოპროგრამა „მეცნიერება და ტექნიკური პროგრესი“. დღესაც არ გვინდოდა დაგვერღვია ეს ტრადიცია, მაგრამ უეცრად გარდაიცვალა ჩვენი უმცროსი კოლეგა, ამ გამოშვების რედაქტორი მარიკა ტაბალუა. ეს ამბავი იმდენად თავზარდამცემია ჩვენთვის, რომ გვიჭირს კიდევაც საუბარი, მაგრამ მაინც გვინდა რამდენიმე სიტყვით გაგაცნოთ ამ ახალგაზრდა, ნიჭიერი ქალიშვილის ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრების გზა;

შარშან, ოქტომბერში მოვიდა მარიკა რედაქციაში, უმცროს რედაქტორად, თუმცა შტატგარეშე კორესპონდენტად კარგა ხანია მუშაობდა და დიდი სიყვარულით ასრულებდა რედაქციის ყოველგვარ დავალებას. ენერგიით, ხალისით იყო სავსე და ცდილობდა პროფესიულ დონეზე მოემზადებინა ყოველი მასალა. განათლებით არ იყო ჟურნალისტი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული ინჟინერ-გეოფიზიკოსის სპეციალობით, მაგრამ არასოდეს ღალატობდა ჟურნალისტური ალღო, პროფესიულ დონეზე ამზადებდა ყოველ გადაცემას, განსაკუთრებით თუ საკითხი ეკოლოგიას ეხებოდა, ყოველთვის პრინციპული იყო იმ მტკივნეული პრობლემების გაშუქების დროს, რომელიც თავისი საყვარელი სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობას ეხებოდა“... ლაპარაკობდა ჩვენი კოლეგა და მართლაც „მშრალი ბურთები ჰქონდა გაჩრილი ყელში“, ლაპარაკობდა და ჩვენ თვალწინ გვედგა მარიკა ტაბალუა, თავისი განუყრელი ხმისჩამწერი აპარატით. — ყოველ მიტინგზე, ყოველ თავყრილობაზე. აინტერესებდა ხალხის განწყობილება, ჩაწერდა მათ აზრს და სურვილებს, მერე კი აწუხებდა ფიქრი, გაუშვებენ თუ არა ეთერში ასე თამამად ნათქვამსო.

ამბობენ, შვილი პირველად თავის მშობლებს უკვდებაო... ჩვენც მოგვიკვდა მეგობარი, დიდი ზურმუხტისფერი თვალებით, ახალგაზრდული სიკისკასითა და ოცნებით, ყოველთვის რომ გვეკითხებოდა — „ნეტა ამისრულდება?..“

ჭეშმარიტია სულის უკვდავება, და თუკი შენი ლამაზი სული ჩვენთან ახლოს ტრიალებს — გვაპატიე, ვერ მოგეშველეთ, მეტი ვერაფერი შევძელით.

**მეგობრები**

# გახსენება

სამწუხაროდ, მე მას არ ვიცნობდი. ის იმ ბედნიერთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ყველას რომ უხაროდა ურთიერთობა, სიახლოვე, მეგობრობა. კარგად მახსოვს, როგორ შეძრა ქალაქი მისი სიკვდილის ცნობამ. სიკვდილიც არის და სიკვდილიც... იმ ავბედით დღეს, ვიღაცის უწმინდური ნებით, კიდევ ერთმა ნათელმა ბიჭმა დაიდო ბინა მარადიულ სასუფეველში. მახსოვს მისი, სახტად დარჩენილი, გაოგნებული მეგობრები? „გურამი სასიკვდილოდ ვინ გაიმეტაო“, „გურას სიკვდილი როგორ მოერიაო“. მაშინ მათ მიერ დაწერილი ბევრი ლამაზი, სევდიანი სტრიქონი დაიბეჭდა გურამზე. ალბათ, მე ვერ გავბედავდი მასზე წერას, რომ არა გურამის დედის, ქალბატონ ელზას გულისშემძვრელი ქვითინი, რომელიც შემთხვევით ტელეფონით მოვისმინე. იმ წუთებში ირაკლი კოსტავას ერთ-ერთი ლექსის სტრიქონი გამახსენდა: „ყველაზე უფრო მძიმე ცრემლი დედის თვალთაგან გადმონთხეული“... ტირის დედა... ტირის თავის უდანაშაულოდ დაღუპულ შვილს, მის აუხდენელ ოცნებებს, მის გასავლელ გზას, ასე ნაადრევად შეწყვეტილს, თუმცა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მაინც ბევრის გაკეთება შეძლო: ამ აფორიაქებულ წუთისოფელში სიკეთით სავსემ, ღიმილიანმა, ალალმა იარა, ამიტომაც უყვარდა ყველას. სიკვდილის შემდეგ დარჩენილი კარგი სახელი იგივე სიცოცხლის გაგრძელებააო ამბობენ. ეს მართლაც ასეა, მაგრამ, ვაი რომ, ვერც ეს ჭეშმარიტება შეარიგებს შვილის სიკვდილთან დედას... ძლიერი იყო ფიზიკურად, სულიც ასეთი ძლიერი და ურყევი ჰქონდა, ისიც სხვა ქართველი ბიჭებივით დამოუკიდებელ საქართველოს სამსახურზე ოცნებობდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობის III კურსის სტუდენტი იყო, ყველაზე მეტად კი მაინც ფეხბურთი უყვარდა. თამაში 35-ე სკოლაში დაიწყო. 1985 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა, 1988 წელს — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1987-88 წლებში „დინამოს“ რიგებში თამაშობდა, 1988-89 წლებში — თბილისის „ომც“-ში. ამავე დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდშიც ირიცხებოდა. სწორედ მის რიგებში, 1989 წელს, სოფიაში, გახდა საერთაშორისო შეჯიბრების ჩემპიონი და საუკეთესო მეკარის პრიზის მფლობელი. საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში საკავშირო ახალგაზრდული თამაშების მესამე პრიზიორი გახდა. მაგრამ მისი დიდი სპორტული მიღწევები ჯერ წინ იყო. წერდა კიდეც თავის მეგობარს: „მე, ხომ იცი, ფეხბურთს თავს არ გავანებებ, არც მოვწევ, არც დავლევ. ცოტა პატრონი რომ მყავდეს, კარგი იქნებოდა. დიდ ფეხბურთს მაშინ ვითამაშებდი...“ ვერ მოასწრო, არ აცალეს, ვერც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს მოესწრო, მერე როგორ გაიხარებდა, რა ბედნიერი იქნებოდა, ვინ იცის რომელი გუნდი მიიწვევდა ახალგაზრდა, ნიჭიერ, პერსპექტიულ სპორტსმენს?!

ამ წერილის მიზანი სხვა არა არის რა, თუ არა ის, რომ კიდევ ერთხელ დაანახოს „არა კაც ჰკლა“-ს უარმყოფელ ადამის ძეთ, რა დიდი ტკივილის მოტანა შეუძლიათ, რა ძვირად გვიღირს ქართველებს ყოველი სიცოცხლე, მით უმეტეს უდროოდ წასული.

და, კიდევ ერთი — შვიდ მაისს გურამის დაბადების დღე იყო, იგი 20 წლის უნდა გამხდარიყო.

**ეკა ჩულაშვილი**

ა. წ. 17 აპრილის ნომერში დაიბეჭდა წერილი, სადაც მიმოხილული იყო სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების პირველი ყრილობა. იმავე წერილში დაიბეჭდა მცირე ფრაზა ჩემი სიტყვიდან, სადაც შევეხე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის, მიტროპოლიტ დავითის მოღვაწეობას; კერძოდ,

# „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციას

ვთქვი: „ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტი დავითი აფხაზეთში ქართულ საქმეს არ აკეთებს“. ეს ჩემი განცხადება, სამწუხაროდ, იყო აგებული მოწოდებულ მცდარ ინფორმაციაზე, რის არაჭეშმარიტებაში მაშინ დავრწმუნდი, როცა გავეცანი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის მიტროპოლიტ დავითის დღემდე გაწეულ ნაყოფიერ სასულიერო მოღვაწეობას.

**რევაზ კემულარია**

# ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრატორთა საყურადღებოდ

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების კომისიასთან ჩამოყალიბდა ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრატორთა ასოციაციის დამფუძნებელი ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ასოციაციის წესდების პროექტი.

დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდება 1990 წლის 2 ივნისს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

რეგისტრაცია იწარმოებს 9 საათსა და 30 წუთიდან.

კონფერენცია მუშაობას შეუდგება 11 საათიდან.



# იან გილანი თბილისს ესტუმრა...

**საქართველოს** სახელმწიფო საკონცერტო გაერთიანებისა და ფირმა „ბარუჩის“ მოწვევით გუშინ თბილისს ესტუმრა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი, შესანიშნავი ვოკალისტი იან გილანი.

იან გილანის შემოქმედებითი ბიოგრაფია მჭიდროდ უკავშირდება ისეთი გამორჩეული, ორიგინალური ხელწერის მქონე ჯგუფს, როგორიც არის „დიიფ ფარფლ“, თუმცა ოზი ოსბორნისა და რონი ჯეიმს დიოს შემდეგ იგი ერთი წელი მღეროდა არანაკლებ პოპულარულ ჯგუფში „ბლექ საბათ“, სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგი იყო ფირფიტა „ხელახლა დაბადება“ (1983), რომელიც გილანის დიდი გავლენის შედეგად საოცრად გავდა „დიიფ ფარფლის“ ნამუშევარს.

1969 წლიდან მოყოლებული, იმ ხუთი წლის მანძილზე, როდესაც გილანი „დიიფ ფარფლის“ სოლისტი იყო, ჯგუფმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია. სწორედ ამ პერიოდში ჩაიწერა ანსამბლის კლასიკა — „შავი ღამე“, „უცნაური ქალი“, „კვამლი წყალზე“, ყველა დროის ბესტსელერად აღიარებული ორი ფირფიტა „როკში“ და „ცეცხლის ბურთი“, ამავე პერიოდში ანსამბლი შევიდა გინესის რეკორდების წიგნში, როგორც მსოფლიოში ყველაზე ხმაურიანი ჯგუფი; მაგრამ ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, იან გილანი, — როგორც უდიდესი შესაძლებლობების მქონე საუკეთესო როკ-ვოკალისტი, ჩემი აზრით, მაინც ვებერის „სუპერსტარში“ განუმეორებლად შესრულებული ქრისტეს პარტიით უნდა შევფასდეს.

შარშან, გილანმა გაწყვიტა კონტრაქტი „დიიფ ფარფლთან“ და შეუდგა მუშაობას საკუთარ სოლო ალბომზე. „ეს ჩემი პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარია და მინდა მთელი ჩემი ნიჭი და ენთუზიაზმი ჩავაქსოვო მის შექმნაში“ — ამბობდა მომღერალი. მანამდე კი გილანმა ზაფხული თავის ძველ მეგობრებთან ერთად გაატარა, იგი წერდა ვოკალის პარტიას „დიიფ ფარფლის“ აღდგენილ სიმღერაში „კვამლი წყალზე“. ამავე სამუშაოში მონაწილეობდნენ „ქუინის“, „ფინკ ფლოიდის“, „ე. ლ. ფ“-ს და „აირონ მეიდენის“ მუსიკოსები. ეს იყო ერთგვარი აქცია, რომლითაც მათ გამოხატეს თავიანთი გულისტკივილი სპიტაკში მომხდარი ტრაგედიის გამო.

1975 წელს მომღერალმა ჩამოაყალიბა საკუთარი ჯგუფი („იანა გილან ბენდ“), რომელმაც ჩაწერა 4 შესანიშნავი ალბომი, რომლის მუსიკა ბრიტანული მძიმე როკის თვისებრივად ახალ ტალღას წარმოადგენდა. ამას მოჰყვა ზემოთაღნიშნული ერთი წელიწადი „ბლექ საბათში“ და... კვლავ „დიიფ ფარფლ II“ — ალბომი „კარგი მოგზაურები“ და სენსაციური მოგზაურობა, მსოფლიოს გარშემო 1085 წელს. 1987 წელს, როდესაც ჯგუფი ინგლისში დაბრუნდა იან გილანსა და როჯერ გლოვერს უკვე დაწერილი ჰქონდათ სიმღერები ალბომისათვის „ლურჯი სხივი“, მაგრამ ანსამბლის წევრებმა მათ ენთუზიაზმს სრული დუმილით უპასუხეს. „საოცრად გაკვირვებული ვიყავი მათი რეაქციით“ — ამბობს გილანი, მაგრამ არასოდეს მჩვევია გულხელდაკრეფილი ჯდომა. არასოდეს დავლოდებივარ ცხოვრებისეულ სიურპრიზებს; საშინელი შოკის შემდეგ ენით აუწერელი განცდა დამეუფლა — ეს იყო თავისუფლების განუმეორებელი გრძნობა, თავისუფლებისა, რომელმაც საშუალება მომცა მთელი ჩემი ენერგია ჩემს სოლო კარიერას მოვახმარო“.

აი, ასეთი სულისკვეთებით წარსდგება ხვალ იან გილანი თბილისელი მსმენელის წინაშე. თქვენ, ალბათ უკვე შეიტყვეთ, რომ მომღერალი ჩვენს ქალაქში განსაკუთრებული მიზნითაც ჩამოდის: „მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა თბილისში ვიყო 26 მაისს“ — განაცხადა მან. გარდა ამისა, გუშინ გვიან ღამით ლონდონიდან თბილისს ესტუმრნენ იან გილანის მეუღლე და ცოლის და. 24 მაისს რიტუალების სასახლეში გაიმართება მომღერლის სამოქალაქო ქორწინების საზეიმო ცერემონიალი. ტელეფონით საუბრისას იან გილანმა განაცხადა, რომ მას უკვე გაფორმებული აქვს თავისი ქორწინება ინგლისსა და ამერიკაში, ახლა კი ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ოფიციალურად დაფიქსირდება თბილისში. — რატომ?

— „მე ვიცი, რომ საქართველო საოცარი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყანაა, ქართველები კი — განსაკუთრებული ემოციურობით გამოირჩევიან. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემს ამაღლებულ სულიერ განწყობილებას თბილისური ზეიმი დაუვიწყარ განუმეორებლობას შეჰმატებს“ — განაცხადა იან გილანმა. მანვე ისურვა, რომ საქორწინო ცერემონიალი მთლიანად ეროვნული ხასიათისა იყოს. — მსურს ჩავიცვა ქართული ჩოხა და სასტუმროდან ქორწინების სასახლემდე თქვენებური ფაეტონით ვიმგზავრო“. ქართული სიმღერა და ცეკვა დაამშვენებს საზეიმო წვეულებასაც, რომელსაც იან გილანი თბილისში გამართავს.

ბუნებრივია, რომ ამგვარი განცხადების შემდეგ მომღერლის მიერ თბილისში გატარებული ყველა დღე განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს. მინდა გაცნობოთ, რომ ამ ფაქტს გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“ გააშუქებს უახლოეს ნომერში, ხოლო ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქციის საესტრადო განყოფილება ამზადებს რეპორტაჟების ციკლს „იან გილანი თბილისში“, რომლის პირველ ნაწილს შემოგთავაზებთ ხვალ, 23 მაისს საქართველოს ტელევიზიის I პროგრამით 21 საათსა და 20 წუთზე.

**მაია დათუნაშვილი**

რედაქტორი
**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 Наш индекс 66400.
უე 08833